# ფოტომატიანე

თუ თქვენს საოჯახო არქივში მოიპოვება სასულიერო პირთა და საქართველოს ეკლესია-მონასტერთა ფოტოები, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ, რათა ერთობლივი ძალისხმევით დავიწყებისგან ვიხსნათ ისინი.

ჩვენი ტელეფონია: 98 95 41; 72 13 50; 60 61 50; 8(99) 54 82 29.



ეს უნიკალური ფოტო გადაღებულია 1922 წელს მცხეთაში სვეტიცხოვლობის სადღესასწაულო წირვის შემდეგ საკათალიკოსო სახლის წინ. მასზე გამოსახულნი არიან:

I რიგში მარცხნიდან: სვეტიცხოვლის არქიმანდრიტი პავლე (ჯაფარიძე), შემდგომში წილკნელი ეპისკოპოსი; ცხუმ-აფხაზეთის ეპისკოპოსი იოანე (მარგიშვილი); საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ამბროსი (ხელაია); ჭყონდიდელი ეპისკოპოსი დავითი (კაჭახიძე); ურბნელი ეპისკოპოსი ქრისტეფორე (ციცქიშვილი) შემდგომში საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი;

II რიგში: სტუდენტი გაბრიელ ჩაჩანიძე (შემდგომში ქუთათელ-გაენათელი მიტროპოლიტი); მთავარდიაკვანი სიკო (სიმონ) მონასელიძე; დიაკონი ნიკოლოზი; დეკანოზი ლ. ნათიძე; მღვდელ-მონაზონი ეფრემი (სიდამონიძე), შემდგომში საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი.

*ფოტოს მოწოდებისათვის მადლობას ვუხდით ქალბატონ ნანა ძიძიძეს*

*რუბრიკას უძღვება ლუარსაბ ტოგონიძე*

## ეპარქიების საყურადღებოდ!

შეგახსენებთ, რომ რამდენიმე ეპარქიას აქვს გაზეთის დიდი დავალიანება, რის გამოც „საპატრიარქოს უწყებანის“ რედაქცია მატერიალური პრობლემების წინაშე დგას. ამ მიზეზით მოსალოდნელია გაზეთის გამოცემის შეფერხება. გთხოვთ, უახლოეს ხანებში დაფაროთ თქვენი დავალიანება, წინააღმდეგ შემთხვევაში ველარ შევძლებთ თქვენთვის გაზეთის მოწოდებას. თანხა შეგიძლიათ ნაწილ-ნაწილ გადაიხადოთ.

იმედი გვაქვს თქვენი გულისხმიერებისა და გაზეთისადმი თანადგომისა.

[illegible]
[illegible]: http://www.orthodox-patriarchate-of-georgia.org.ge
[illegible] II [illegible] №1
[illegible]: 98-95-41.

[illegible]

დასაწყისი მე-5 გვ.

***ღმერთმა დაგლოცოთ; მე მწამს და მჯერა, რომ ბავშვებისათვის, რომლებიც ახლა აქ დგანან და უფროსებისათვის, რომლებიც დღეს ჩვენთან ერთად მსახურობდნენ, ეს ადგილი მუდამ სამახსოვრო და მნიშვნელოვანი იქნება, რათა ამაზე გაიზარდონ პატარები და რომ ამით ამაყობდნენ უფროსები. ორი, უფროსი და უმცროსი, თაობის ამ გრძნობით ყოფნა ღვთის წინაშე ყოველთვის სიმტკიცე იქნება ჩვენი ერისათვის; როგორც ყოველთვის, ქრისტიანი ერი დღესაც და მომავალშიც ღვთის სადიდებლად იშრომებს უხმოდ, უჩუმრად და თავმოწონების გარეშე, აწ და უკუნისამდე, ამინ.***

***ღმერთმა დაგლოცოთ და გაგაძლიეროთ; უფალმა სასუფეველში დაამკვიდროს ჩვენი წინაპრების სულები, ჩვენ კი ძალა მოგვცეს, რომ შევძლოთ ჩვენი წინაპრების ხსოვნა მომავალ თაობებს გადავცეთ. ამინ".***

### იკურთხა ახალი ტაძრები

28 ივნისს ყოვლადუსამღვდელოესმა, ზუგდიდისა და ცაიშის ეპისკოპოსმა გერასიმემ (შარაშენიძე) მცხეთაში წმიდა იოანე და თორნიკე ათონელების სახელობის ახალი ტაძარი აკურთხა. პირველი ლიტურგია ახლადნაკურთხ ტაძარში მეუფე გერასიმემ შეასრულა. წირვის შემდეგ პარაკლისი აღავლინა უწმიდესმა და უნეტარესმა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II.

* * *

წელს სოფელ პატარა გლდანში ახალი ტაძარი აკურთხა. სოფლის ძირძველი ეკლესია კომუნისტური რეჟიმის დროს იქნა დანგრეული, ამიტომ სოფლის მოსახლეობამ საკუთარი ძალისხმევით ტაძრის მშენებლობა გადაწყვიტა. ახალ ეკლესიას 2001 წლის აპრილში ჩაეყარა საფუძველი. სოფელმა სულ მოკლე ხანში შეძლო ტაძრის აგება.

ახალი ეკლესიის გახსნა ლომისის დღესასწაულს დაემთხვა, ამიტომ ლომისის წმიდა გიორგის სახელზე აკურთხეს. ტაძრის მღვდელმსახურად დაადგინეს მღვდელი გიორგი ჭეიშვილი.

### საზეიმო წირვა

30 ივნისს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია წმიდა შალვა ახალციხელის ხსენებას აღნიშნავს. ამ დღეს ახალციხეში საზეიმო წირვა აღავლინა ყოვლადუსამღვდელოესმა, ახალციხის, ლაზეთისა და ჰერეთის ეპისკოპოსმა თეოდორემ (ჭუაძე) წმიდა სინოდის მღვდელმთავრებთან – ზუგდიდისა და ცაიშის ეპისკოპოს გერასიმესთან (შარაშენიძე) და ცაგერისა და ლენტეხის ეპისკოპოს სტეფანესთან (კალაიჯიშვილი) ერთად.

### პანაშვიდი დავით სარაჯიშვილის საფლავზე

3 ივლისს უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II ლოცვა-კურთხევით ყოვლადუსამღვდელოესმა, ზუგდიდისა და ცაიშის ეპისკოპოსმა გერასიმემ (შარაშენიძე) პანაშვიდი გადაიხადა დავით სარაჯიშვილის საფლავზე.

### აუცილებელი განმარტება:

შენდობას ვითხოვთ: „საპატრიარქოს უწყებანის" №24-ში სტატიაში „ერი ისჯება აბორტის ცოდვების გამო" ბოლო აბზაცის დასაწყისში გაიპარა მძიმე შეცდომა. წინადადების „როგორ მოვიქცეთ, თუ წინასწარ ვიცით, რომ ავადმყოფი ბავშვი დაიბადება, რა თქმა უნდა, ასეთ შემთხვევაში ძნელია ვინმესთვის რაიმე რჩევის მიცემა..." ნაცვლად უნდა ეწეროს: „როგორ მოვიქცეთ, თუ წინასწარ ვიცით, რომ ავადმყოფი ბავშვი დაიბადება, რა თქმა უნდა, ასეთ შემთხვევებში ადამიანებს ძალიან უჭირთ ხოლმე, ერთმანეთისთვის რაიმე რჩევის მიცემა"... თუმცა შემდეგ წმიდა მამების ავტორიტეტით მოხმობით განმარტებულია, რომ თვით სნეული ნაყოფის შემთხვევაშიც აბორტი მიუღებელია. ***ყოველგვარი გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად, კიდევ ერთხელ გვინდა განვაცხადოთ, რომ სნეული ბავშვის შემთხვევაშიც აბორტი დაუშვებელი და უმძიმესი ცოდვაა.***

# ქუთაისის წმიდა პეტრე-პავლეს სახელობის საკათედრო ტაძარი 100 წლისაა

„ყოველსა ქვეყანასა განხდა ხმა მათი და კიდეთა სოფლისათა სიტყვანი მათნი" ძველი წელთაღრიცხვის X საუკუნეში იწინასწარმეტყველა ისრაელის მეფე დავითმა. ეს წინასწარმეტყველება ღირსეულად აღასრულეს ქრისტეს წმიდა მოციქულებმა, რომლებმაც ქრისტეს სჯული იქადაგეს და გაავრცელეს დედამიწაზე.

მართლმადიდებლური სამყარო განსაკუთრებით პატივით აღასრულებს „წმიდათა, დიდებულთა, ყოვლადქებულთა მოციქულთა თავთა პეტრეს და პავლეს" ხსენებას. საქართველოში წმიდა მოციქულთა თავთა სახელობის ეკლესია სულ რამდენიმეა, მათ შორის განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსია ქუთაისის წმიდა პეტრე-პავლეს სახელობის საკათედრო ტაძარი.

1881 წლის 10 მაისს, წმიდა გაბრიელ ეპისკოპოსის კურთხევით, ქუთაისში, რიონის მარჯვენა სანაპიროზე, ეგრეთწოდებული „სილის უბნის" მცხოვრებლებმა ერთხმად გადაწყვიტეს საკუთარი ტაძრის აგება. ეკლესიის ასაგებად შეიქმნა სპეციალური კომიტეტი შემდეგი შემადგენლობით: კაპიტანი პ. ქორქაშვილი, კ. ცომაია, ე. მატვეევი, დ. წულუკიძე, გ. ტყეშელაშვილი. სულ მალე, გაბრიელ ეპისკოპოსის რჩევით, კომიტეტში შეიყვანეს ქალაქში ცნობილი პიროვნება, ქუთაისის პოლიცმეისტერის ყოფილი თანაშემწე, კოლეგიის მრჩეველი ივ. ბაინდუროვი და მღვდელი ნ. ხუციევი. ღვთივგანსვენებული იმპერატორის, ალექსანდრე II, სახსოვრად ქუთაისში ახლადასაშენებელი ეკლესიისათვის ფულის ასაკრებად კომიტეტმა დაარიგა მოწვევა.

შემოწირული ფულით სექტემბერში კომიტეტმა შეიძინა 1700 მ$^2$. მიწის ნაკვეთი, რომელშიც გადაიხადეს 2112 მანეთი, ხოლო წლის დასასრულამდე დროებით ხის ეკლესიაც ააგეს, რომელიც გაურკვეველი მიზეზით 1894 წლის დეკემბერში დაიწვა.

გაგრძელება მე-7 გვ.

# ქრონიკა. ინფორმაცია

## საქართველოს საპატრიარქოს განცხადება

ა.წ. 5 მარტს სახელმწიფო ტელევიზიის პირველ არხზე, გადაცემაში „დღის ბოლოს,“ მონაწილეობა მიიღო დეკანოზმა ბასილ კობახიძემ და გააკეთა რამდენიმე განცხადება, რომელთაგან ამჯერად მხოლოდ ერთზე შევჩერდებით. მან ირიბად მოუწოდა საზოგადოებას პარასკევს, 7 მარტს დაესწრონ ლუთერანულ ტაძარში აღვლენილ ეკუმენურ ღვთისმსახურებას, მიძღვნილს ქალთა საერთაშორისო ლოცვის დღისადმი.

საქართველოს საპატრიარქო აცხადებს, რომ საეკლესიო სამართლისა და 1998 წლის 8 ოქტომბრის წმიდა სინოდის დადგენილების თანახმად, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისთვის მიუღებელია ერთობლივ ლოცვებში მონაწილეობა, რაც სრულიადაც არ ნიშნავს კარჩაკეტილობას და ფანატიზმს, როგორც ზოგიერთებს უნდათ ეს წარმოადგინონ. საქართველოს ეკლესიისა და სახელმწიფოს მრავალსაუკუნოვანი ისტორია ცხადყოფს ჩვენი ქვეყნის ტოლერანტობას, რასაც საფუძვლად სწორედ მართლმადიდებლობა უდევს.

ადამიანთა უფლებების საერთაშორისო დეკლარაციით აღიარებული რელიგიის თავისუფლება იცავს ჩვენი ეკლესიის უფლებას საკუთარი მრწამსისა და აღმსარებლობის თავისუფლად განხორციელების შესახებ.

რაც შეეხება დეკანოზ ბასილ კობახიძეს, საქართველოს საპატრიარქოს არ მიუნიჭებია მისთვის ეკლესიის სახელით განცხადებების გაკეთების უფლება და არც სახელმწიფოსთან ურთიერთობის სტატუსი და მის თვითნებურ ქმედებებს ეკლესიისთვის სერიოზული ზიანი მოაქვს.

## ქუთაისის ეპარქიას ახალი ტაძრები შეემატა

ქალაქ ქუთაისში, №11 საშუალო სკოლის ტერიტორიაზე (გორის ქუჩა), 26 თებერვალს გაიხსნა წმიდა გაბრიელ ეპისკოპოსის სახელობის ეკლესია. ახალ ტაძარში პირველი მწუხრი, ცისკარი და წირვა აღასრულა მაღალყოვლადუსამღვდელოესმა, ქუთათელ-გაენათელმა მიტროპოლიტმა კალისტრატემ.

* * *

გეგუთის წმიდა გიორგის ეკლესია VII-VIII საუკუნის ისტორიული ძეგლია. ღვთის შეწევნით, სოფლის მოსახლეობის დიდი ძალისხმევითა და შემოწირულობით თითქმის ნანგრევებად ქცეული ტაძარი აღდგა. ტაძრის კურთხევა ქუთათელ-გაენათელმა მიტროპოლიტმა კალისტრატემ აღასრულა ეპარქიის სამღვდელოებასთან ერთად. გეგუთის წმიდა გიორგის სახელობის ეკლესიის წინამძღვრად დადგენილ იქნა მამა შიო (გაგოშიძე).

ასევე აღსანიშნავია, რომ სოფელ პატრიკეთის ეკლესიაში აღდგენილია ღვთისმსახურება.

## პარაკლისი ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტში

25 თებერვალს, ივერიის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხატის ხსენების დღეს, ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დავით აღმაშენებლის სახელობის ტაძრის მოძღვარმა, მამა ბასილმა (ქორქაშვილი) აღავლინა პარაკლისი, რომელსაც ინსტიტუტის თანამშრომლები ესწრებოდნენ. ამავე დღეს შესრულდა საპატრიარქოსთან არსებული და ინსტიტუტის ბაზაზე მდებარე ქრისტიანული კვლევის საერთაშორისო ცენტრის დაარსებიდან ერთი წლისთავი.

დასაწყისი მე-3 გვ.

არამედ ყოველთვის მორალური კანონებით უნდა ხელმძღვანელობდეს და, პირველ რიგში, პიროვნებას, ადამიანს სცემდეს პატივს. სამწუხაროდ, დღევანდელი ყვითელი პრესა ამ მოთხოვნებს თითქმის საერთოდ ვერ ასრულებს.

უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II ამის თაობაზე თავისი მოსაზრება გააცნო ჟურნალისტებს: **„რა თქმა უნდა, ცენზურის არსებობა მიუღებელია. ხომ არ იქნებოდა მიზანშეწონილი, რომ ჟურნალისტთა საბჭომ თუ კავშირმა, ხანდახან გამოთქვას თავისი უარყოფითი შეხედულება ამა თუ იმ პუბლიკაციაზე, შეაფასოს, იყო თუ არა ზნეობრივი მისი გამოქვეყნება. როცა უარყოფით ინფორმაციაზე არავინ რეაგირებს, გამოდის, რომ საზო-**



გადოება ღებულობს ამას. განა ასე შეიძლება?

ერთი რამ უნდა ითქვას: ჩვენი ცხოვრება სამოთხე არასდროს იქნება. ერთი დიდი მღვდელმთავარი ამბობს: ჩვენ გვინდა სამოთხე ავაშენოთ დედამიწაზე, მაგრამ არ დაგვავიწყდეს, რომ დედამიწა სამოთხიდან განდევნილ ადამიანთა სამყოფელია. პრობლემები ახლაც არის და მომავალშიც იქნება, ვიდრე კაცობრიობა იარსებებს. ჯერ კიდევ რომაელები ამბობდნენ: „დრონი იცვლებიან და ჩვენც ვიცვლებით მათთან ერთად". დრო სულ ახალ-ახალ წინააღმდეგობებს შემოგვთავაზებს, მასთან მიმართებაში კი ჩვენი საზომი, მოქმედების კრიტერიუმი უნდა იყოს ჭეშმარიტ სარწმუნოებაზე დაყრდნობილი ზნეობა. ჟურნალისტიკა საზოგადოებას წინ უნდა უძღოდეს. ვფიქრობ, საბოლოოდ ყველაფერი გამოსწორდება.

კიდევ ერთხელ გილოცავთ საზეიმო დღეების დაწყებას და გისურვებთ დიდ წარმატებებს".

# ქრონიკა. ინფორმაცია

### სამეუფო წირვა მიუნხენში

როგორც მიუნხენიდან შეგვატყობინა მღვდელმა მამუკა თავხელიძემ, შაბათს, 29 მარტს, დასავლეთ ევროპის ეპარქიის მეთაური, მთავარეპისკოპოსი აბრაამი (გარმელია), მიუნხენის წმიდა ვახტანგ გორგასლის სახელობის ტაძარში შეასრულებს საღმრთო ლიტურგიას.

### ხელდასხმები

2003 წლის 16 მარტს უწმიდესმა და უნეტარესმა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილიაII სიონის საკათედრო ტაძარში მღვდლად ხელი დაასხა დიაკვან გიორგი ყიფშიძეს.

ამავე დღეს სიონის საკათედრო ტაძარში უწმიდესმა და უნეტარესმა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II დიაკვნად ხელი დაასხა ლევან მექოშვილს.

### იკურთხა გორის საკათედრო ტაძარი

2003 წლის 2 მარტს სამთავისისა და გორის ეპისკოპოსმა ანდრიამ (გვაზავა) საზეიმოდ აკურთხა გორის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის სახელობის საკათედრო ტაძარი. კურთხევას ესწრებოდნენ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმიდა სინოდის მღვდელმთავარნი – რუისისა და ურბნისის მიტროპოლიტი იობი (აქიაშვილი), ნიქოზისა და ცხინვალის მთავარეპისკოპოსი ისაია (ჭანტურია) და ზუგდიდისა და ცაიშის ეპისკოპოსი გერასიმე (შარაშენიძე).

### პირველი დისერტაცია ბიოეთიკაში

28 თებერვალს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში (რექტორი – აკად. რ. ხეცურიანი) გამართულ სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე (თავმჯდომარე პროფ. ვ. სააკაძე, სწავლული მდივანი დოც. დ. გელოვანი) შედგა ვახტანგ ახალაძის დისერტაციის საჯარო დაცვა მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თემაზე „ბიოეთიკის გენეზისი და მისი როლი ბიომედიცინისა და ჯანდაცვის სისტემის განვითარების თანამედროვე ეტაპზე." როგორც სხდომაზე გამოსულმა ოფიციალურმა და არაოფიციალურმა ოპონენტებმა, კონსულტანტებმა და საზოგადოების წარმომადგენლებმა (პროფესორებმა ო. გერზმავამ, გ. კიკნაძემ, ნ. ვეფხვაძემ, გ. კაციტაძემ, ჯ. მამალაძემ, ნ. კირთაძემ, ვ. სანიკიძემ, რ. ხაზარაძემ, დ. გეგეშიძემ, რ. შენგელიამ) დაასაბუთეს, ვახტანგ ახალაძის სადისერტაციო ნაშრომი ცოდნის ახალი, სწრაფადგანვითარებადი დარგის – ბიოეთიკის პრობლემებისადმი მიძღვნილი პირველი ფუნდამენტური მეცნიერული კვლევაა ქართული სამედიცინო აზროვნების რეალიაში. ავტორი ბიოეთიკას განიხილავს, როგორც ტრანსდისციპლინური სამეცნიერო კვლევის მიმართულებას – საბუნებისმეტყველო და ჰუმანიტარული მეცნიერებების, ფილოსოფიისა და ღვთისმეტყველების სინთეზს, რომელიც ავლენს და იკვლევს სამყაროს არსისა და მასში ადამიანის ყოფიერების (კერძოდ, ბიომედიცინის სფეროში მოღვაწეობის) მსოფლმხედველობრივ, შემეცნებით, ღირებულებით სულიერ და ზნეობრივ პრობლემებს ავადმყოფობის, ჯანმრთელობის, სიცოცხლის, სიკვდილის ფენომენების, აგრეთვე ადამიანის არსისა და ბუნების შესწავლის გზით. პროფ. რ. შენგელიამ ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ ვახტანგ ახალაძემ პირველმა შემოიტანა

დასასრული მე-5 გვ.

# ქრონიკა. ინფორმაცია

## ხელდასხმები

2003 წლის 30 მარტს უწმიდესმა და უნეტარესმა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II სიონის საკათედრო ტაძარში მღვდლად დაასხა ხელი დიაკონ გიორგი ფანცულაიას. იგი იმსახურებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ღვთისმშობლის ტაძრად მიყვანების სახელობის ტაძარში.

* * *

2003 წლის 30 მარტს მაღალყოვლადუსამღვდელოესმა, ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტმა დანიელმა (დათუაშვილი) ფერისცვალების დედათა მონასტერში დიაკვნად დაასხა ხელი ბესარიონ ჩუხრუკიძეს. იგი საქართველოს საპატრიარქოს ტაძარში იმსახურებს.

საპატრიარქოს უწყებანი

## ჩვენი წარსული

# იღუმენია ნინო (ამილახვარი)

## (1816-1905 წწ.)

მცხეთის სამთავროს დედათა სავანეს უამრავი ქართველი ქრისტიანი ქალი და დედა გამოუზრდია, მრავალი მოამაგეც ჰყოლია, მაგრამ მათგან მცირედნი თუ არიან ცნობილნი. ასეთთა შორისაა სამთავროს დედათა მონასტრის იღუმენია ნინო (ამილახვარი), რომელმაც მთელი ცხოვრება მონასტრის აღორძინებას შეალია.

იღუმენია ნინო (ერში თავადის ასული ანა ამილახვარი) 1816 წლის 26 იანვარს, გორის მაზრის სოფელ საამილახვრო ჭალაში დაიბადა. მშობლები მალე დაეხოცა და მისი აღზრდა მამიდამ, მონაზონმა ნინო ამილახვარმა იკისრა, რომელიც მცხეთის სამთავროს წმიდა ნინოს სახელობის დედათა მონასტრის წინამძღვარი იყო. მან წამოიყვანა ობოლი ანა და მონასტრული წესით, საღმრთო წერილის სწავლაში აღზარდა.. 1839 წლის 11 თებერვალს მამიდა გარდაიცვალა, მაგრამ ანა მონასტერს არ განეშორა. იგი მონაზვნებს თავისი ხარჯით აცხოვრებდა, საღვთო წერილსა და ხელსაქმეს ასწავლიდა. მონაზვნებმაც ძალიან შეიყვარეს, რადგან ჭირსა და ლხინში გვერდში ედგათ. ის იყო მათთვის კეთილმსახურებისა და სიმშვიდისა მაგალითი, მათი გონების გამწვრთნელი და განმანათლებელი. ხანგრძლივი მონასტრული ცხოვრების შემდეგ ანნა ამილახვარი მიტროპოლიტ ისიდორეს კურთხევით, არქიმანდრიტმა ტარასიმ 1855 წლის 19 ივნისს მონაზვნად აღკვეცა მცხეთის მონასტერში და სახელად ნინო (მამიდის სახელი) უწოდა. 1863 წელს წმიდა ნინოს მონასტრის გამგებლობა მიანდეს.

იმ დროს მონასტერი და ეკლესია დიდ სიდუხჭირეს განიცდიდა და შეკეთებაც ესაჭიროებოდა. იღუმენია ნინომ მაშინვე ეკლესიისა და მონასტრის რესტავრაციაზე დაიწყო ზრუნვა, რისთვისაც ეგზარქოსს ნებართვა გამოსთხოვა, რათა ქველმოქმედი ქრისტიანებისაგან შეეწევა ეთხოვა. ამ მიზნით იღუმენიამ მთელი თბილისი, მოზდოკი, პიატიგორსკი, ახალციხე და აბასთუმანი მოვლო. შეგროვილი შემოწირულობით მონასტერი გაამშვენიერა, ეკლესიისთვის კი საეკლესიო და სამღვდელმსახურო ნივთები შეიძინა. ამ ღვაწლისათვის 1865 წელს ეგზარქოსის ევსევის მიერ იღუმენიის ხარისხში იქნა აღყვანილი.

1865 წლიდან მისი ღვაწლი უფრო თვალსაჩინო ხდება: 1866 წლის 29 მარტს მონასტერში იღუმენიას მეცადინეობით დაარსდა დედათა სასწავლებელი, რომლის მმართველი და „პირველი წევრი რჩევისა" თავად იყო. 1879 წელს დედა ნინომ განაახლა წმიდა ნინოს ეკლესია. 1880 წელს იგი დააჯილდოეს ძვირფასი თვლებით მოჭედილი ჯვრით. 1883 წლის 23 იანვარს იღუმენიამ დედათა მონასტრის ეკლესიის გუმბათი განაახლა და ეკლესია თუნუქით გადახურა. იგი იმის დროს შესაწირავს გზავნიდა დაჭრილ მხედართათვის, რისთვისაც 1883 წლის 21 დეკემბერს წითელი ჯვრით იქნა დაჯილდოებული. 1884 წელს კი დედათა მონასტრის ეკლესიის კედლები შეაკეთა.

მას შემდეგ, რაც 1880 წელს იღუმენია ნინოს მიერ დაარსებული სასწავლებელი საეპარქიო სასწავლებლის სახელწოდებით ქალაქ თბილისში გადაიტანეს, დედა ნინო მუდამ იმის საზრუნავში იყო, რომ მონასტერთან როგორმე, ხელმეორედ დაეარსებინა დედათა სკოლა. 1888 წელს იღუმენიამ მოიარა რუსეთი, რათა შეგროვილი შემოწირულობებით ეკლესიაც შეეკეთებინა და განეხორციელებინა თავისი სანუკვარი აზრი – სკოლის აღდგენა მცხეთაში. ღრმად მოხუცებულმა იღუმენიამ მეტად შორი მოგზაურობა იტვირთა, სამშობლოში დაბრუნებულმა კი სკოლის დაარსების საქმე დაიწყო. ოცნება მალე შეუსრულდა – 1889 წლის 1 ოქ-



სამთავროს დედათა მონასტრის იღუმენია ნინო ამილახვარი დედათა კრებულთან ერთად. (1890-იანი წლები).
პირველ რიგში მარცხნიდან მეორე პლატონ იოსელიანის ქვრივი მონაზონი ანა ბაგრატიონ-მუხრანელი

გაგრძელება მე-7 გვ.

დასაწყისი მე-6 გვ.

ტომბერს ეგზარქოსმა პალადიმ მონასტერში აკურთხა ქალთა სასწავლებელი. თანამედროვენი აღტაცებით იხსენებენ ამ სასწავლებელსა და მის მზრუნველ დედა-ბურჯს - ილუმინია ნინოს.

1890 წლის 2 ოქტომბერს ქართველმა საზოგადოებამ საზეიმოდ აღნიშნა მისი მოღვაწეობის 25 წლის იუბილე, რომელიც მცხეთის დედათა მონასტერში გაიმართა. დღესასწაულს უამრავი ხალხი დაესწრო. წირვა შეასრულა ეპისკოპოსმა ბესარიონმა, არქიმანდრიტების კესარიოსისა და ლეონიდეს (შემდგომში გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი) თანამწირველობით. წირვაზე ქართულ საგალობლებს ასრულებდა წინამძღვრიანთ სკოლის მოწაფეთა გუნდი, რომელიც 5-6 კაცისაგან შედგებოდა. წირვის შემდეგ წარმოთქმული სიტყვები და მილოცვები ნათლად მეტყველებს იმ დიდ სიყვარულზე, რაც ქართველ საზოგადოებაში სუფევდა დედა ნინოს მიმართ.

მღვდელმონაზონმა ლეონიდემ ქადაგებაში წარმოთქვა:

„ნამეტნავისაგან გულისა პირი იტყვის“ (მთ. 12 34)... ღრმად დარწმუნებული ვართ მეც და ეს თქვენი პატივის მცემლების შემოკრებილი სიმრავლეც, რომ სრულებით თავისუფალი ხართ თავ-მოყვარებისაგან და დიდად გიმძიმთ თქვენი თავის ქება-დიდების მოსმენა. გვწამს, რომ ამ წამს თქვენ განიცდით ზნეობრივ წუხილს, ვინაიდგან იძულებული ხდებით მოისმინოთ სამართლიანად დამსახურებული ქებითი აღნიშვნა ძვირფასი სამშობლოს წინაშე თქვენ მიერ გაწეული შრომა-ღვაწლისა. დედობრივი სიყვარულით და სულგრძელებით შეგვინდეთ და გვაპატიეთ, ძვირფასო დედაო ილუმინა, რომ ვარღვევთ თქვენი გულის მყუდროებას იმ სულის ცხოვრების მძლავრი მოთხოვნილების გამო, რომელსაც მკაფიოდ გამოხატავენ მოძღვრების დასაწყისში მოყვანილი სიტყვები: „ნამეტნავისაგან გულისა პირი იტყვის“ (მთ. 12 34)...

... უსომოდ დავალებული და გაბედნიერებული ვარ თქვენგან პირადად მე, თქვენი უმორჩილესი მოსამსახური. ქ. თბილისში მოსწავლეობის დროს არა ერთ გზის შემომივლია თქვენს მყუდრო სავანეში, როგორც წმიდა ტაძრების და ადგილების თაყვანისაცემლად, ისე თქვენი სასწავლებლის ყოფილი მოწაფის, ჩემი დის სანახავად და აი, ასეთი შემთხვევების დროს ბევრჯელ მიმიღია თქვენგან ნამდვილი დედობრივი დარიგება, ბრძნული ხელმძღვანელობა და ნუგეში. თქვენი გონიერი და გულმტკივნეულობით გამსჭვალული სიტყვები მამხნევებდნენ სიკეთეზე, მახალისებდნენ სწავლაზე და შორს მჭიდნენ განსაცდელთაგან, რომლებითაც, სამწუხაროდ, გარემოცულია ხშირად მოსწავლის ცხოვრება. დედობრივი თანაგრძნობით გამთბარი თქვენი დარიგება უსაზღვრო გავლენას ქონულობდა ჩემზე და წმინდა მცნებად მეჭდეოდა ნორჩი გულის ფიცარზე. რასაკვირველია, მე ვერაფრით და ვერას დროს ვერ გადაგიხდით ასეთ ამაგს; გალევთ მხოლოდ სიტყვას, რომ სანამ სული მედგმება პირში, დაუვიწყარი იქნებით ჩემს გლახა ლოცვებში.

**...უწყებული ბრძანდები, სასიქადულო დედა, რომ ჩვენი ერის ცხოვრების უმთავრეს ძალას და სიმაგრეს შეადგენდა და შეადგენს უტკბილესი იესო ქრისტეს მოძღვრების აღსარება, რომ ქრისტიანობამ მოგვცა და შეგვინახა დღევანდლამდე საკუთარი ეროვნული შემეცნება, ენა და კულტურა, გარნა ქართველთა შორის ქრისტეს მოძღვრების განმტკიცების საქმეში დიდი და თვალსაჩინო ალაგი ეჭირათ წმიდა ნინოს, შუშანიკს, თამარ-მეფეს, ქეთევანს და მათ მსგავს უთვალავ დედებს...**

უმახლობლესი მოწმეები თქვენი დედობრივი მხურვალე ზრუნვისა და საქმიანობისა იყვნენ და არიან ის პირები, რომლებსაც ბედმა არგუნათ თქვენგან დაარსებულ სამონასტრო სასწავლებელში აღზრდა. დიდება და პატივი თქვენ, მაღალ ღირსო დედაო, რომ ყოველთვის მაღლა გკავებიათ და მაღლა გიკავიათ დღესაც ალამი ამ სასწავლებლისა!...

...გულის მოთხოვნილებად ვსთვლი საჯაროდ გაგიცხადოთ, რომ თქვენ მიერ დათესილ კეთილ თესლს მეტად კეთილი ნაყოფი გამოუღია. თქვენი სავანის ფრთების ქვეშ შეფარებულ სასწავლებელში გამოზრდილი პირები სასახელო და სასიქადულო წევრებად არიან ცნობილნი... ეს პირები გაუქრობელ კანდელებად ბრწყინავენ ღვთის წინაშე თქვენი სულის საოხად, იგინი შეადგენენ თქვენი სახელის დიდებას, მათი აღზრდითაა თქვენგან დავალებული საქართველო...

...უწყებული ბრძანდები, სასიქადულო დედა, რომ ჩვენი ერის ცხოვრების უმთავრეს ძალას და სიმაგრეს შეადგენდა და შეადგენს უტკბილესი იესო ქრისტეს მოძღვრების აღსარება, რომ ქრისტიანობამ მოგვცა და შეგვინახა დღევანდლამდე საკუთარი ეროვნული შემეცნება, ენა და კულტურა, გარნა ქართველთა შორის ქრისტეს მოძღვრების განმტკიცების საქმეში დიდი და თვალსაჩინო ალაგი ეჭირათ წმიდა ნინოს, შუშანიკს, თამარ-მეფეს, ქეთევანს და მათ მსგავს უთვალავ დედებს. ჩვენი ერის ისტორიაში მორწმუნე დედებისაგან გავლებული კვალი ერთობ ღრმა და ფართეა. ქართველი ერის ნამდვილი მოყვრე და გულშემატკივარი ამ კვალის დავიწყებას კი არ უნდა ფიქრობდეს, პირიქით, მუდმივ საზრუნავ საქმედ დასახული უნდა ჰქონდეს ისეთი პირობების შექმნა თავის გარშემო, რომ ჩვენს საზოგადოებაში არა მცირდებოდეს ძველი დედების მსგავსი ქრისტიანული მიმართულებით განმსჭვალულ-გასხივოსნებული დედათა გუნდი.

ცხადია, ასეთი ნათელი აზრით გიხელმძღვანელია, ნათლით შემოსილო დედა, რომ ქალთა სასწავლებლისთვის აგირჩევია ეს, ქართველი კაცის გულის და გონებისთვის ისედაც ყველაფრით საგულისხმო ალაგი. აქ სადაც ყოველი ბუჩქი, ყოველი ლოდი, ყოველი გოჯი მიწისა ნაკურთხია წმიდა ნინოს ლოცვითა და მოციქულებრივი მოღვაწეობით, სადაც ქართველმა ერმა მტკვრის ტალღებს გაატანა თავისი ძველი წარმართული ცხოვრება და იწყო ახალი ქრისტიანობრივი მო-

დასასრული მე-8 გვ.

დასაწყისი მე-7 გვ.



**სამთავროს დედათა მონასტერი 1890-იანი წლები.**
**ფოტოს მარცხენა კიდეში ჩანს წმიდა ნინოს სახელობის მშენებარე ტაძარი, სადაც მოგვიანებით დაასაფლავეს იღუმენია ნინო (ამილახვარი). საბჭოთა პერიოდში ეს ტაძარი ხელისუფლებამ დაანგრია.**

ქალაქობა, სადაც პირველად აღიმართა წმიდა ტრაპეზი და პირველად შეიწირა უსისხლო მსხვერპლი, ყველაფერი ხელს უწყობს მოზარდი ქალების გონების განათლება-განსპეტაკებას, ყველაფერი აკავშირებს და აახლოებს მათ გულითა და გონებით წმიდა ნინოს ნათელ პიროვნებასთან, ყველაფერი ხმამაღლა და ბრძანებლობით აკისრებს მათ სამშობლოსადმი სიყვარულსა და ერთგულებას, ყოველი გარემოება უთითებს მათ იცოცხლონ ერის სანუგეშოთ და სასახელოთ.

მართალია, მთავრობამ ინება და თქვენი სასწავლებელი გადაიტანა ქ. თბილისში საეპარქიო დედათა სასწავლებლის სახელწოდებით, მაგრამ თქვენ ამ გარემოებას ისე შეხედეთ, როგორც მოწიფული ქალიშვილის გათხოვებას, როგორც ფრთებით მოსილი ბარტყის გაფრენას და პირველი სასწავლებლის ფუძე არ მოგიშლიათ, ქართველი საზოგადოების სურვილის თანახმად კვლავ აღადგინეთ სასწავლებელი და ეს მადლით აღვსილი მიდამო ისევ გამოაცოცხლეთ პატარა მოსწავლე ქალების საამო ხმაურობით.

გვესმის, დედო იღუმენია, ესეთი თქვენი საქციელის დიადი ღირსეულება და, ნიშნად უგულითადესი მადლობისა, ყველანი ქედს ვიხრით მოწიწებით თქვენს წინაშე...“ – ამ სიტყვებით დაამთავრა თავისი ქადაგება არქიმანდრიტმა ლეონიდემ, რის შემდეგადაც დღესასწაულმა იღუმენიას სახლთან გადაინაცვლა, სადაც იუბილარს უამრავი ხალხი ელოდა. „დედა იღუმენია ნინო! წმიდის გულით მოგილოცავ თქვენს 25 წლის ღვაწლსა და სამსახურს, იღუმენიობის ხარისხში გატარებულს. მადლი ღვთისა იყავნ თქვენზედ, რათა განცისკროვნდეს დღენი თქვენი საქართველოს ისტორიის ცის კიდურზედ მრავალ ჟამიერ“, – დალოცა წმიდა მღვდელმთავარმა ალექსანდრე ოქროპირიძემ. უამრავი მილოცვების შემდეგ სამადლობელი სიტყვა წარმოთქვა თავად იღუმენიამ: „ენა ჩემი უძლურ არს წარმოსათქმელად გულითადის ჩემის მადლობისა თქვენდამი, ჩემო მოწაფენო, დანო და ძმანო. მე ღირსი არა ვარ ამ პატივისცემისა, რომელით ღირს მყავით მე დღევანდელს დღეს! დღევანდელი დღე აქრობს, მივიწყებს იმ მწუხარე წამთ, რომელნიც ბედმა ჩემმა შემახვედრა დღევანდელამდე. სიყრმითვე ამ მონასტერში აღზრდილმა გამოვცადე ბევრი კარგი და ცუდი. სიყრმითვე მივეც აღთქმა თავსა ჩემსა, რომ შემეწირა ჩემი სიჭაბუკე, სრულ-ასაკობა და მოხუცება კეთილდღეობისათვის ამ მონასტრისა. როგორ შევასრულე ეს ჩემი სიტყვა და რა ნაყოფი მიიღო ჩემმა შრომამ, მის განსაჯავა მე არ შემიძლიან“.

წმიდა ილია მართლის (ჭავჭავაძე) გაზეთ „ივერიის“ 1890 წლის 3 ოქტომბრის ნომერი დაწვრილებით აღწერს იღუმენია ნინოს იუბილეს. მას შემდეგ მრავალი წელი გავიდა... იღუმენია ნინო ამილახვარი გარდაიცვალა 1905 წელს და დაიკრძალა წმიდა ნინოს მაყვლოვანთან მისსავე აგებულ ეკლესიაში, (რომელიც კომუნისტური რეჟიმის პერიოდში დაანგრიეს. დღეს შემორჩენილია ტაძრის იატაკი და საძირკველი).

მართლაც, საოცარი და სამაგალითოა იღუმენია ნინოს ცხოვრება. სამწუხაროდ, მისი ხანგრძლივი და დაუღალავი მოღვაწეობიდან მხოლოდ მცირე რამაა ცნობილი, მაგრამ ის მცირეოდენიც კი, რაც დრომ შემოგვინახა, ნათლად გვიჩვენებს ქართველი ქალის სახეს, რომელიც ქრისტიანული სარწმუნოების ერთ-ერთი ბურჯი შეიქმნა საქართველოში.

იღუმენია ნინოს ღვაწლი თვალსაჩინოა. იგი გვევლინება, არამარტო როგორც სამთავროს წმიდა ნინოს ეკლესიის შემნახველი და დამცველი, არამედ ქართველ ქალთა არაერთი თაობის აღმზრდელი და მათთვის კეთილი მაგალითის მიმცემი ნათელი სვეტი. იღუმენია ნინო თავისთვის, მშვიდად და წყნარად მოღვაწეობდა იმ ასპარეზზე, რომელიც სიყრმიდანვე აირჩია და პირნათლად მისდევდა იესო მაცხოვრის მცნებას – „რაჟამს ჰყოფდე ქველის საქმესა, ნუ ჰქადაგებ წინაშე შენსა, ვითარცა-იგი ორგულთა ყვიან შესაკრებელთა მათთა... ნუ სცნობნ მარცხენე შენი, რასა იქმოდის მარჯუენე შენი“.

საბედნიეროდ, სამთავროს დედათა მონასტერში სულიერი ცხოვრება გრძელდება და იღუმენია ნინოს სახელი და საღვთო საქმეები თანამედროვე მონაზონთათვის მისაბაძი და სანუგეშოა.

მოამზადა
ნათია თარაშვილმა

გარეკანისა და სტატიის ფოტოები მოგვაწოდა ლუარსაბ ტოგონიძემ

დასაწყისი მე-4 გვ.

ტელეკომპანიების – „რუსთავი-2“, „იბერია“, „კავკასია“, „იმედი“ – ჟურნალისტები, სხვადასხვა გაზეთის წარმომადგენლები.

12 მაისს ყოვლადწმიდა სამების შესწავლა სინოდის მღვდელმთავრებთან და სამღვდელოებასთან ერთად საზეიმო წირვა აღავლინა უწმიდესმა და უნეტარესმა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II.

სამების ტაძარში წირვაზე დილიდანვე გამობრძანებული იქნა საქართველოს ეკლესიის უდიდესი სიწმიდეები: მაცხოვრის სამსჭვალი, წმიდა ანდრია პირველწოდებულის წმიდა ნაწილი, წმიდა თომა მოციქულისა და წმიდა ევგენიას თავის ქალა, წმიდა გიორგის მუხლის თავი, მადლის ქვა, 40 სებასტიელი მოწამის წმიდა ნაწილები, გოლგოთის ქვა.

წირვის შემდეგ მისი უწმიდესობა, წმიდა სინოდის მღვდელმთავრებთან ერთად, ავლაბარში (რკინიგზის I საავადმყოფოს ტერიტორიაზე) წმიდა ანდრია პირველწოდებულის მშენებარე ტაძარს ეწვია, სადაც პარაკლისი აღავლინა.

### ხელდასხმა

2003 წლის 4 მაისს უწმიდესმა და უნეტარესმა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II სიონის საპატრიარქო ტაძარში მღვდლად დაასხა ხელი დიაკვან დავით ხაჭაპურიძეს, რომელიც დღემდის წმიდა ლაზარეს აღდგინების სახელობის ტაძარში იმსახურებს.

### გაიხსნა წმიდა ექვთიმე ღვთისკაცის (თაყაიშვილი) მუზეუმი

11 მაისს თბილისში პარლამენტარ გურამ შარაძისა და სანკტ-პეტერბურგელი ბიზნესმენის, ბადრი კაკაბაძის ფინანსური მონაწილეობით გაიხსნა დიდი ქართველი მამულიშვილის ექვთიმე თაყაიშვილის სახლ-მუზეუმი.

როგორც ცნობილია, ქართველი ერის ეს დიდი მოამაგე საქართველოს მართლმადიდებელმა ეკლესიამ წმიდანად შერაცხა. სახლ-მუზეუმის გახსნას ესწრებოდნენ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმიდესი



და უნეტარესი ილია II, წმიდა სინოდის მღვდელმთავრებთან – ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტ დანიელთან (დათუაშვილი), ურბნისისა და რუისის მიტროპოლიტ იობთან (აქიაშვილი), ნიქოზისა და ცხინვალის მთავარეპისკოპოს ისაიასთან (ჭანტურია) და სამთავისისა და გორის ეპისკოპოს ანდრიასთან (გვაზავა) ერთად, საქართველოს პრეზიდენტი, ბატონი ედუარდ-გიორგი შევარდნაძე, პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე და საზოგადოების წარმომადგენლები. სახლ-მუზეუმის გახსნა წმიდა ექვთიმე ღვთისკაცის გარდაცვალებიდან 50, ხოლო დაბადებიდან 140 წლისთავს დაემთხვა. საიუბილეო კომიტეტს სიმბოლურად საქართველოს პრეზიდენტი თავმჯდომარეობდა.

უწმიდესმა და უნეტარესმა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა სახლ-მუზეუმის გახსნაზე ბრძანა:

**„წმიდა სინოდმა გამოიტანა ისტორიული გადაწყვეტილება, რომ ექვთიმე თაყაიშვილი შერაცხულიყო წმიდანად. მას წმიდა ექვთიმე ღვთისკაცი ეწოდა.“**

წმიდა ექვთიმე თაყაიშვილის სახლ-მუზეუმში შეკრებილი საზოგადოება დიდი ინტერესითა და ყურადღებით ათვალიერებდა ოთახებში გამოფენილ სხვადასხვა ნივთებს, რომლებიც ოდესღაც წმიდანის საკუთრება იყო.

### წმიდა ილია მართლის სახელობის გიმნაზიის შემოქმედება

8 მაისს მოსწავლე ახალგაზრდობის სახლში გალაკტიონ ტაბიძის საღამო გაიმართა. მისი ორგანიზატორი იყო საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ილია მართლის სახელობის გიმნაზიის რექტორის მოადგილე აღმზრდელობით დარგში რევაზ შარაბიძე. საღამოში მონაწილეობდნენ ამავე გიმნაზიის მოსწავლეები, რომლებიც საოცარი სიყვარულით საუბრობდნენ გალაკტიონის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე.

11 მაისს ამავე გიმნაზიის ცეკვის სტუდიამ (ხელმძღვანელი თემურ ტატიშვილი) თბილისის პროფკავშირის სახლში ქართული ხალხური ცეკვის საღამო გამართა. სტუდიის მოსწავლეებს ულოცავდნენ ანსამბლები: „მამულიშვილნი“, „ბახტრიონი“, „შამარერა“, „ვარძია“, „ალგეთი“, აგრეთვე ანსამბლ „მამულის“ პატარა აღსაზრდელები.

### რუსთაველმა მოძღვარმა სამეცნიერო ხარისხი მოიპოვა

2003 წლის 14 მაისს საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში შედგა რუსთავის წმიდა მეფე ვახტანგ გორგასლის სახელობის ტაძრის მღვდელმსახურის, დეკანოზ მიქაელ ჭაბაშვილის სადისერტაციო ნაშრომის დაცვა. ნაშრომის თემა იყო ამბროსი ნეკრესელის ქადაგებანი (გამოკვლევა და ტექსტები). ნაშრომის სამეცნიერო ხელმძღვანელია ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ნესტან სულავა. ოფიციალური ოპონენტები არიან ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, ნინო მახათაძე და ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქ-

გაგრძელება მე-6 გვ.

# ფოტომატიანე



კაცობრიობის საოცარმა გამოგონებამ, ფოტოგრაფიამ მრავლად შემოგვინახა XIX-XX საუკუნის სასულიერო მოღვაწეთა სახეები. ჩვენდა სამწუხაროდ, ეკლესიის სასტიკი დევნის გამო ეს უზარმაზარი ფოტომასალა სათანადოდ არ შესწავლილა და შესაბამისად, არც გამოქვეყნებულა.

საქართველოს სხვადასხვა მუზეუმებსა და საცავებში, განსაკუთრებით კი სასულიერო პირების შთამომავალთა საოჯახო არქივებში, არაერთი უნიკალური ფოტოა დაცული. ჩვენ მიზნად დავისახეთ, მოვიძიოთ ეს ფოტოები და გავაცნოთ მორწმუნე საზოგადოებას. ვფიქრობთ, ჩვენი წინაპრების მშვიდი და მეტყველი სახეების ხილვა სიხარულის მომტანი იქნება ყველასათვის. ამავე დროს, უფრო მეტად აღდგება ცხოველი სულიერი კავშირი თაობებს შორის.

თუ თქვენს საოჯახო არქივში მოიპოვება სასულიერო პირთა და საქართველოს ეკლესია-მონასტერთა ფოტოები, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ, რათა ერთობლივი ძალისხმევით დავიწყებისგან ვიხსნათ ისინი.

ჩვენი ტელეფონია: 72 13 50; 60 61 50; 8(99) 54 82 29.

ფოტო გადაღებულია თბილისში XIX საუკუნის 70-იანი წლების ბოლოს. გამოსახულნი არიან – მარცხნიდან: წმიდა გაბრიელ ეპისკოპოსი იმერეთისა (ქიქოძე) (+1896), ეგზარქოსი იოანიკე (რუდნევი) (საქართველოში ეგზარქოსად გამწესებული იყო 1877-1882 წლებში), წმიდა ალექსანდრე ეპისკოპოსი გორისა (ოქროპირიძე) (+1907)

ეს უნიკალური ფოტო მოგვაწოდა წმიდა გაბრიელ ეპისკოპოსის შთამომავალმა ქალბატონმა ნუნუ ქიქოძემ, რისთვისაც დიდ მადლობას მოვახსენებთ.

*რუბრიკას უძღვება ლუარსაბ ტოგონიძე*

## ეპარქიების საყურადღებოდ!

შეგახსენებთ, რომ რამდენიმე ეპარქიას აქვს გაზეთის დიდი დავალიანება, რის გამოც „საპატრიარქოს უწყებანის" რედაქცია მატერიალური პრობლემების წინაშე დგას. ამ მიზეზით მოსალოდნელია გაზეთის გამოცემის შეფერხება. გთხოვთ, უახლოეს ხანებში დაფაროთ თქვენი დავალიანება, წინააღმდეგ შემთხვევაში ველარ შევძლებთ თქვენთვის გაზეთის მოწოდებას. თანხა შეგიძლიათ ნაწილ-ნაწილ გადაიხადოთ.

იმედი გვაქვს თქვენი გულისხმიერებისა და გაზეთისადმი თანადგომისა.

[illegible]
[illegible] http://www.orthodox-patriarchate-of-georgia.org.ge
[illegible] II [illegible] №1
[illegible] 98-95-41.

რედაქტორი: [illegible]
სარედაქციო კოლეგია: [illegible]
[illegible]

# უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II ქადაგება სამებობის დღესასწაულზე

**ვაკის წმიდა სამების ტაძარი, 16 ივნისი**

## „ადამიანი უფლისგან ნეტარებისთვის, სასუფევლისთვისაა შექმნილი“

**სახელითა მამისათა და ძისათა და წმიდისა სულისათა!**

**ჩვენთან არს ღმერთი!**

დღეს ბედნიერი და წმიდა დღეა – დღესასწაული სულისა წმიდისა, რომელიც „მამისაგან გამოვალს“; ხსენება ცხოველსმყოფელისა სულისა, „რომელი ყოველგან არს და ყოვლსავსე აღავსებს მადლითა თვისითა“.

ბიბლიაში ძალიან ხშირად იხსენიება სულიწმიდა. დავით წინასწარმეტყველი ასე მიმართავს უფალს: „სული შენი სახიერი მიძღოდეს მე ქვეყანასა წრფელსა“. ქვეყანა წრფელი არის სასუფეველი და ბედნიერია ის, ვისაც წინ უძღვის სულიწმიდა. ყოველი ადამიანი უნდა იყოს ტაძარი სულისა წმიდისა და ამისთვის მან თავისი სული უნდა მოამზადოს სულიწმიდის მისაღებად, რადგან თუ კაცი მადლის მისაღებად მზად არ არის, სულიწმიდა მასში ვერ შედის. ამიტომ ადამიანი ყველაფერს უნდა აკეთებდეს, რომ სრულყოფის კიბეზე სულ უფრო და უფრო მაღლდებოდეს. ადამიანი ერთ დონეზე ვერ დარჩება - იგი აუცილებლად განიცდის ცვლილებას, დროთა განმავლობაში ყველაფერი იცვლება. ასევე ადამიანიც – ან მაღლდება, ან ეცემა. ღმერთმა ინება, რომ ყოველი ჩვენთაგანი ავიდეს



სრულყოფის კიბეზე და მადლმოსილმა ბოლომდე მიიტანოს თავისი ჯვარი, მივიდეს უფალთან და გახდეს მკვიდრი სასუფეველისა. სულიწმიდა ყველგან და ყოველთვის მოქმედებს, როგორც ლოცვაშია ნათქვამი – „ყოველგან არს და ყოვლსავსე აღავსებს მადლითა თვისითა“, მაგრამ საქმე ისაა, არის თუ არა ადამიანი მზად მის მისაღებად. ზოგიერთი უარყოფს ამ მადლს, უარს ამბობს მასზე, რადგან ასეთი კაცის სულიერ სამყაროში არის ღვარძლი, შური, ურწმუნოება, მტრობა და მიუტევებლობა. ასეთ სულში კი სულიწმიდა ვერ შედის. ამიტომაც ადამიანის უპირველესი მოვალეობაა ბრძოლა საკუთარ თავთან, თავის ვნებებთან. ძველი ფილოსოფოსები ამბობდნენ: „შეიცან თავი შენი.“ ადამიანი თავის თავს თუ შეიცნობს, დაინახავს, რომ მასში მრავალი დადებითი და უარყოფითი თვისებაა. ჩვენ უნდა დავინახოთ ჩვენი უარყოფითი თვისებები. როგორც ღირსი მამა ეფრემ ასური ამბობს: „ჰე, უფალო, მომანიჭე მე განცდაი თვისთა ცოდვათა.“ ისეც ხდება, რომ ზოგი ხედავს თავის ცოდვებს, მაგრამ მიაჩნია, რომ ეს ცოდვები ბუნებრივია და ყოველი ადამიანის ხვედრია. ეს არ არის სწორი. ადამიანი უფლისგან ნეტარებისთვის, სასუფევლისთვისაა შექმნილი. უარყოფითი თვისებები კი ბოროტი სულის მიერ არის მოვლენილი. მაგრამ, რა თქმა უნდა, ადამიანი თვითონაც ლებულობს მონაწილეობას როგორც კეთილში, ასევე ბოროტში.

დღეს შევთხოვთ უფალს, ყოვლადწმიდა სამებას, რომ სულიწმიდა მოვიდეს ჩვენზედა და ძალი მაღლისა გვფარვიდეს ჩვენ. სულმა წმიდამ ცოდვებისაგან განგვწმიდოს, დაგვლოცოს, გაგვახაროს და გაგვაძლიეროა. სულმა წმიდამ დალოცოს, გააძლიეროს და გაამთლიანოს სრულიად საქართველო. ყოვლადწმიდა სამებამ მოგვმადლოს ერთსულოვნება შინ და გარეთ.

**ჩვენთან არს ღმერთი!**

## ქრონიკა, ინფორმაცია

### დაჯილდოება

15 ივნისს წმიდა სამების ტაძარში (ეროვნულ ბიბლიოთეკასთან) სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II წმიდა სამების დღესასწაულის ლოცვა აღავლინა. მასთან ერთად ლოცვაში მონაწილეობას იღებდნენ ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი დანიელი (დათუაშვილი), ზუგდიდისა და ცაიშის ეპისკოპოსი გერასიმე (შარაშენიძე) და ტაძრის მოძღვრები. დღესასწაულთან დაკავშირებით, ტაძრის მოძღვარი, მღვდელმონაზონი ანტონი (ნადიბაიძე) საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მიერ აჯვანილ იქნა იღუმენის ხარისხში და ოქროს ჯვრის ტარების უფლება მიენიჭა. იმავე დღეს საქართველოს ეკლესიის წინაშე გაწეული ღვაწლისათვის დეკანოზი ვაჟა ბუწუხაიძე გამშვენებული ჯვრით დაჯილდოვდა. აღსანიშნავია, რომ მამა ვაჟა წლების მანძილზე მოღვაწეობდა ამერიკის შეერთებულ შტატებში არსებულ მართლმადიდებელ ეკლესიაში. უწმიდესმა და უნეტარესმა რწმენისა და სამშობლოსათვის თავდადებული შრომისათვის მამა ვაჟას ერთ-ერთი თავისი ჯვარი გადასცა.

### პატრიარქის სტუმრობა ოპერის თეატრში

17 ივნისს უწმიდესი და უნეტარესი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II წმიდა სინოდის

დასასრული მე-4 გვ.

# ქრონიკა, ინფორმაცია

## ბოდბის მონასტერს ღვთისმშობლის ახალი მოზაიკური ხატი შეწირეს

ბოდბის წმიდა ნინოს სახელობის დედათა მონასტერში, წმიდა ნინოს



წყაროზე, განსაბანელის ნიშში ღვთისმშობლის მოზაიკური ხატი დაბრძანდა. ხატის ავტორია საქართველოს დამსახურებული მხატვარი ნუგზარ მეძმარიაშვილი. აღსანიშნავია, რომ იგი პირველი მოზაიკური ხატია, რომელიც ბოლო პერიოდში საქართველოში შეიქმნა.

ხატი შესრულებულია მონასტრის იღუმენია თეოდორას (მახვილაძე) თხოვნით. ბატონი ნუგზარ მეძმარიაშვილი მოზაიკაზე 3 თვე მუშაობდა. ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ახალი მოზაიკური ხატი მონასტერს ავტორმა უსასყიდლოდ გადასცა.

ამჟამად უკვე წმიდა ნინოს წყაროს ნიშში დაბრძანებული ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ულამაზესი ახალი ხატი ამშვენებს.

## ახალი ხელდასხმა

2003 წლის 16 ივლისს, გერგეტობას, სიყვარულის დღესასწაულზე უწმიდესმა და უნეტარესმა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II გერგეტის ყოვლადწმიდა სამების ტაძარში მღვდლად დაასხა ხელი ბერ-დიაკონ იოანეს (სილაგაძე).

## საყოველთაო ნათლობა სვეტიცხოვლობის დღესასწაულზე

სვეტიცხოვლობის წლევანდელ დღესასწაულზე კვლავ ჩატარდა უკვე ტრადიციად ქცეული საყოველთაო ნათლობა მდინარე არაგვზე. საქართველოს ეკლესიას შეემატა 76 ახალი წევრი. ნათლობის საიდუმლო შეასრულეს საქართველოს ეკლესიის შვიდმა მღვდელმსახურმა შიომღვიმის მონასტრის წინამძღვრის, არქიმანდრიტ მიქაელის (გაბრიჭიძე) ხელმძღვანელობით. სასულიერო პირებს ეხმარებოდა წმიდა ნინოს გზის მომლოცველთა ჯგუფი. გალობდა შიომღვიმის მონასტრის გუნდი. ნათელღებულებს საქართვე-



ლოს საპატრიარქოსაგან საჩუქრად გადაეცათ ბზის გულსაკიდი ჯვრები.

## საპატრიარქოს განცხადება

სამწუხაროდ, ბოლო დროს გახშირდა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისადმი უსაფუძვლო ბრალდებები. არსებობს სერიოზული ეჭვი იმისა, რომ გარკვეული ძალები ცდილობენ ეკლესიის დისკრედიტაციას: ამიტომაც ჩვენზე დარტყმები ხორციელდება, როგორც მარცხნიდან, ისე მარჯვნიდან.

ექსტრემისტები ბრალს გვდებენ სხვა კონფესიის წარმომადგენლებთან ურთიერთობის, ანდა მათდამი მკვეთრად უარყოფითი დამოკიდებულების არქონის გამო, ლიბერალები კი კარჩაკეტილობას გვიკიჟინებენ და რუსეთის სპეცსამსახურებთან ურთიერთობაში „გვამხელენ". როგორც ადრეც აღვნიშნეთ, ეს ორივე ფრთა სხვადასხვა ძალებისგან იმართება, თუმც მიზანი ერთი აქვთ - საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის სამეუფეო გზიდან გადაყვანა და თავისი გავლენის ქვეშ მისი მოქცევა.

ბოლო პერიოდში განსაკუთრებით მემარცხენეები გააქტიურდნენ. მათ მთავარ დასაყრდენს ლევანოზი ბასილ კობახიძე წარმოადგენს, რომელმაც ა.წ. 9 ივლისს „კავკასიურ სახლში" გამართა პრესკონფერენცია და „რუსთავი - 2"-ის ეთერითაც წარდგა მაყურებლის წინაშე. იგი საქართველოს ეკლესიას უწოდებს ბნელი ძალების გავლენის ქვეშ მყოფს და კარჩაკეტილს. ამის ძირითადი მიზეზი კი ის არის, რომ ჩვენ 1997 წლიდან გამოვედით ეკლესიათა მსოფლიო საბჭო-დან და ევროპის ეკლესიათა კონფერენციიდან.

ეს ბრალდებები, რა თქმა უნდა, ყოვლად უსუსური და უსაფუძვლოა. ჩვენ ძმური და მეგობრული ურთიერთობა გვაქვს ყველა მართლმადიდებელ ეკლესიასთან. ამიტომაც არის, რომ ხშირად ხორციელდება ორმხრივი ვიზიტები. მარტო ბოლო ორი წლის მონაცემებით ჩვენი ეკლესიის დელეგაციები ეწვივნენ: კონსტანტინეპოლის, კვიპროსის, ბულგარეთის, აშშ-ს, სერბეთის, რუსეთის, იერუსალიმის, ელადის ეკლესიებს. ასევე ჩვენთან სტუმრად ჩამოდიან როგორც პირველი იერარქები, ისე სინოდის წევრები თითქმის ყველა ადგილობრივი ეკლესიიდან.

ჩვენ ახლო ურთიერთობა გვაქვს

დასასრული მე-5 გვ.

# ქრონიკა, ინფორმაცია

### ხელდასხმა

2003 წლის 15 ივნისს ზესტაფონის წმიდა გიორგის საკათედრო ტაძარში, ყოვლადუსამღვდელოესმა, მარგვეთისა და უბისის მთავარეპისკოპოსმა ვახტანგმა (ახვლედიანი) დიაკვნად დაასხა ხელი ტაძრის მათეს კრიონ მეშკვეთიანს.

### პატრიარქმა ახალი ტაძრის ადგილი აკურთხა

30 მაისს, საქართველოს პროკურატურის დღეს, უწმიდესმა და უნეტარესმა, სრულიად საქართველოს



კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II საქართველოს გენერალური პროკურატურის ეზოში აკურთხა წმიდა ვახტანგ გორგასლის სახელობის ეკლესიის ადგილი.

მისმა უწმიდესობამ გენერალურ პროკურორს, ბატონ ნუგზარ გაბრიჩიძეს მაცხოვრის ხატი გადასცა.

### პრესკონფერენცია საპატრიარქოში

18 ივლისს საპატრიარქოში გაიმართა პრესკონფერენცია ჟურნალისტებისათვის მომავალი თაობის ზნეობრივი აღზრდისა და მავნე ზეგავლენისაგან დაცვის საკითხებთან დაკავშირებით.

პრესკონფერენცია მოეწყო საპატრიარქოს სასწავლო კომიტეტისა და წმიდა ილია მართლის სახელობის პედაგოგთა კავშირის ინიციატივით. მის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს: საპატრიარქოს სასწავლო კომიტეტის თავმჯდომარემ, პროტოპრესვიტერმა გიორგი გამრეკელმა, საპატრიარქოს პრესცენტრის ხელმძღვანელმა, დეკანოზმა დავით შარაშენიძემ, განათლების მინისტრის მოადგილემ, რუსუდან გორგილაძემ, განათლებისა და ჯანდაცვის სამინისტროს თანამშრომლებმა, ბიოეთიკის სახელმწიფო კომისიის წარმომადგენელმა ვახტანგ ახალაძემ, ქალაქის პროკურატურის წარმომადგენელმა თამარ იესაიშვილმა, ფსიქოლოგიის ინსტიტუტის თანამშრომელმა გოგი ყიფიანმა, საპატრიარქოსთან არსებული სოციალური დაცვის უზრუნველყოფის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა ზურაბ ვარაზაშვილმა, სააქციო საზოგადოება კანისა და ვენსნეულებათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარემ ბადრი ჩლაიძემ, არასამთავრობო ორგანიზაციებმა, რომლებიც დაკავებულნი არიან ბავშთა აღზრდით. პრესკონფერენციის დაწყებამდე 2 საათით ადრე შედგა სამუშაო შეხვედრა, რომელზეც იმსჯელეს მომავალი თაობის ზნეობრივი აღზრდის პრობლემებზე და დასახეს რეალური გზები არსებული პრობლემების გადასაჭრელად. კერძოდ, საუბარი შეეხო აშშ-ს განათლების სისტემაში უარყოფილ, მოზარდთა სექსუალური აღზრდის სასწავლო სახელმძღვანელოებს, რომელთა ნაწილიც უკვე თარგმნილია ქართულ ენაზე და ერთ-ერთ მათგანს გააჩნია გრიფი „საყალდებულო სწავლებისათვის". შეხვედრაზე წმიდა ილია მართლის მართლმადიდებლური გიმნაზიის დირექტორმა ნინო კახიანმა აღნიშნა, რომ „ზოგიერთი სამთავრობო თუ არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ ცალკეულ სკოლებში და საბავშვო სახლებში უკვე დაფიქსირებულია შემთხვევები მოზარდებთან არაპედაგოგიური საუბრებისა ამ ხელმძღვანელოებზე დაყრდნობით."

შეხვედრაზე ცალკე მსჯელობის საგნად იქცა რეპროდუქტოლოგიის ინსტიტუტის მიერ ჩატარებული გამოკითხვა მოზარდებში. ბიოეთიკის სახელმწიფო კომისიის წარმომადგენელმა, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორმა ვახტანგ ახალაძემ აღნიშნა, რომ „კომისიამ იმსჯელა ჩატარებულ გამოკითხვაზე და მიიჩნევს ამგვარ კვლევას სრულიად გაუმართლებლად მეცნიერული თუ ზნეობრივი თვალსაზრისით. ბიოეთიკის სახელმწიფო კომისია აცხადებს, რომ აუცილებელი იყო ამ კითხვარის წინასწარი ბიოეთიკური ექსპერტიზის ჩატარება, მაგრამ რეპროდუქტოლოგიის ინსტიტუტს არ მიუმართავს მათთვის. ზემოაღნიშნული კითხვარი რეპროდუქტოლოგიის ინსტიტუტს მიეწოდა გაეროს მოსახლეობის ფონდის მიერ."

საპატრიარქოსთან არსებული სოციალური დაცვის უზრუნველყოფის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა, სამედიცინო სახელმწიფო უნივერსიტეტის ლექტორმა, ექიმმა ზურაბ ვარაზაშვილმა ზემოაღნიშნული კითხვარის შესახებ განაცხადა: „მსგავსი კითხვებით მოზარდებთან მისვლა არ არის პედაგოგიური. მაგალითად, თავშეკავება კითხვარში სახელდებულია „ჯანმრთელობისთვის საზიანოდ". რა არის ეს, თუ არა პირდაპირი პროვოცირება სექსუალური აღვირახსნილობისკენ?.. შეიძლებოდა, რომ ამ კითხვებით მიემართათ პედაგოგებისა და მშობლებისადმი. რადგან უფროსები წყვეტენ, რა და როგორ უნდა ვასწავლოთ ბავშვებს. ჩვენ ხომ არ ვეკითხებით მათ, სურთ თუ არა ალგებრის ან კიდევ სხვა რომელიმე საგნის სწავლა?"

პროტოპრესვიტერი გიორგის აზრით: „ძალიან მნიშვნელოვანია ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების სასწავლო პროგრამებში მომავალი თაობის ზნეობრივი აღზრდის პრობლემების გათვალისწინება. სამწუხაროდ, ჩვენ უცხოეთიდან ვღებულობთ იმას, რაც იქ უკვე დაწუნებული და უარყოფილია. ეს ეხება პიროვნების თავისუფლებასაც. აღზრდით სფეროში ამგვარი თავისუფლება ზიანს აყენებს მომავალ თაობას. აშშ-მ უკვე იწვნია ეს თავისუფლება და 1996 წლიდან იგი უკვე ზრუნავს შექმნილი ვითარების გამოსწორებაზე... ეს არის მაგალითი იმისა, თუ საით მიჰყავს საზოგადოება თავისუფლებას, როდესაც იგი ცდება პასუხისმგებლობისა და მოვალეობის განცდის ფარგლებს".

ქალბატონმა რუსუდან გორგილაძემ აღნიშნა, რომ „თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარე გლობალიზაციის რეალობას ჩვენ გვერდს ვერ ავუვლით, მაგრამ

დასასრული მე-5 გვ.

# ფოტომატიანე



ყოვლადუსამღვდელოესი,
წილკნელი ეპისკოპოსი ტარასი (კანდელაკი)
(1871-1951)

ეპისკოპოსი ტარასი (კანდელაკი) იყო საქართველოს ეკლესიის გამორჩეული მოღვაწე, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, წმიდა მღვდელმოწამე კირიონ II თანამუშაკი და მესხენაკე. მოღვაწეობდა ქვათახევის, შუამთის, ალავერდის, თეთრი გიორგის, ხირსის, გარეჯის წმიდა იოანე ნათლიმცემლის მონასტრებში. 1903-1908 წლებში თან ახლდა ეპისკოპოს კირიონს გადასახლებაში, ხერსონისა და ორიოლის ეპარქიებში. 1931 წლიდან 1938 წლამდე მოღვაწეობდა ქალაქ ვლადიკავკაზის წმიდა ნინოს ქართული ეკლესიის წინამძღვრად. 1939 წელს ხელდასხმულია წილკნელ ეპისკოპოსად.

გარდაიცვალა 1951 წელს, მცხეთაში, დაკრძალულია სვეტიცხოვლის ტაძრის გალავანში.

ვლადიკავკაზში მოღვაწეობისას სწორედ მან მონათლა პატარა ირაკლი შიოლაშვილი, შემდგომში საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II.

ფოტო ინახება ქალაქ აბაშის საავადმყოფოს მთავარი ექიმის, ბატონ პაატა ქურდოვანიძის პირად არქივში.

---

საქართველოს სხვადასხვა მუზეუმებსა და საცავებში, განსაკუთრებით კი სასულიერო პირების შთამომავალთა საოჯახო არქივებში არაერთი უნიკალური ფოტოა დაცული. ჩვენ მიზნად დავისახეთ, მოვიძიოთ ეს ფოტოები და გავაცნოთ მორწმუნე საზოგადოებას.

თუ თქვენს საოჯახო არქივში მოიპოვება სასულიერო პირთა და საქართველოს ეკლესია-მონასტერთა ფოტოები, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ, რათა ერთობლივი ძალისხმევით დავიწყებისგან ვიხსნათ ისინი.

ჩვენი ტელეფონებია: 98 95 41; 72 13 50; 60 61 50; 8(99) 54 82 29.

*რუბრიკას უძღვება ლუარსაბ ტოგონიძე*

## ეპარქიების საყურადღებოდ!

შეგახსენებთ, რომ რამდენიმე ეპარქიას აქვს გაზეთის დიდი დავალიანება, რის გამოც „საპატრიარქოს უწყებანის" რედაქცია მატერიალური პრობლემების წინაშე დგას. ამ მიზეზით მოსალოდნელია გაზეთის გამოცემის შეფერხება. გთხოვთ, უახლოეს ხანებში დაფაროთ თქვენი დავალიანება, წინააღმდეგ შემთხვევაში ვეღარ შევძლებთ თქვენთვის გაზეთის მოწოდებას. თანხა შეგიძლიათ ნაწილ-ნაწილ გადაიხადოთ.

იმედი გვაქვს თქვენი გულისხმიერებისა და გაზეთისადმი თანადგომისა.

**კახეთის რეგიონში წინა ნომრების შეძენა შეგიძლიათ ხირსის მონასტერში და წნორში წმიდა ილია მართლის სახელობის ეკლესიაში**

გთხოვთ, გაზეთს გაუფრთხილდეთ მასში დაბეჭდილი მასალების გამო
საპატრიარქოს ვებ-გვერდი: http://www.orthodox-patriarchate-of-georgia.org.ge
მისამართი: ერეკლე II მოედანი №1
საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი ტელ/ფაქსი: 98-95-41.

**რედაქტორი:** ზურაბ ცხოვრებაძე,
**სარედაქციო კოლეგია:** ეპისკოპოსი დიმიტრი (შიოლაშვილი),
დეკანოზი დავით შარაშენიძე, მღვდელი თეიმურაზ ბიბნაძე, თეიმურაზ საგანელიძე,
ლუარსაბ ტოგონიძე, მარიამ გაგუა, ნათია თარაშვილი, ხათუნა რამიშვილი, ნანა მოსეშვილი,
**დამკაბადონებელი:** ქახაბერ მარსაგიშვილი, **ოპერატორი:** ზოია ქოჩახიძე.

# ქრონიკა, ინფორმაცია

## ლაზების ნათლობა

20 აგვისტოს ბათუმისა და სხალთის ეპარქიის სოფელ სარფში ბათუმისა და სხალთის ეპისკოპოსმა დიმიტრიმ (შიოლაშვილი) მონათლა 200-ზე მეტი ადგილობრივი ლაზი. ნათლობას ესწრებოდნენ შემოქმედელი მთავარეპისკოპოსი იოსები (კიკვაძე), ფოთის ეპისკოპოსი გრიგოლი (ბერბიჭაშვილი), ახალციხის, ტაოკლარჯეთისა და ლაზეთის ეპისკოპოსი თეოდორე (ჭუაძე), ხონისა და სამტრედიის ეპისკოპოსი საბა (გიგიბერია), ზუგდიდისა და ცაიშის ეპისკოპოსი გერასიმე (შარაშენიძე).

ნათლობა შესრულდა „სისხლის მდინარეში“. ეს სახელი ამ ადგილს თავად ხალხმა უწოდა, რადგან სწორედ აქ ხდებოდა მუსულმანთა მიერ ქრისტიანობისათვის თავდადებულ ქართველთა მოწყვეტა.

## აშშ-ში ქართული ტაძარი იხსნება

28 აგვისტოს, ღვთისმშობლის მიძინების დღესასწაულზე ნიუ-იორკში იხსნება წმიდა ნინოს სახელობის ქართული მართლმადიდებლური ტაძარი (მისამართი: 71 სამხრეთი, მე-3 ქუჩა). მის წინამძღვრად დადგენილია დეკანოზი ალექსანდრე თანდილაშვილი.

## ნინოწმიდის მწვერვალზე ჯვარი აღიმართა

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის ილია II ლოცვა-კურთხევით საპატრიარქოს ახალგაზრდული ცენტრი „ძლევაის“ დაარსების ათი წლისთავთან დაკავშირებით „ძლევაის“ (თავმჯდომარე კოტე სვანაძე) თსუ ნ. ნიკოლაძის სახ. ალპინისტური კლუბის წევრებთან ერთად 5-დან 12 აგვისტომდე მოაწყო მსვლელობა გუდამაყრის ხეობაში.

8 აგვისტოს მსვლელობის მონაწილე 19 ახალგაზრდა მწვერვალ „ნინოწმიდაზე“ (დაახ. 3400 მ.) ავიდა და წმიდა ნინოს ჯვარი აღმართა.

აღსანიშნავია, რომ ამ მწვერვალზე პირველად ავიდა და ნინოწმიდის სახელი უწოდა ცნობილმა ქართველმა ალპინისტმა, ამჟამად საქართველოს მთამსვლელთა ფედერაციის პრეზიდენტმა, ბატონმა შოთა მირიანაშვილმა.

# ქრონიკა, ინფორმაცია

## ლაზების ნათლობა

20 აგვისტოს ბათუმისა და სხალთის ეპარქიის სოფელ სარფში ბათუმისა და სხალთის ეპისკოპოსმა დიმიტრიმ (შიოლაშვილი) მონათლა 200-ზე მეტი ადგილობრივი ლაზი. ნათლობას ესწრებოდნენ შემოქმედელი მთავარეპისკოპოსი იოსები (კიკვაძე), ფოთის ეპისკოპოსი გრიგოლი (ბერბიჭაშვილი), ახალციხის, ტაო-კლარჯეთისა და ლაზეთის ეპისკოპოსი თეოდორე (ჭუაძე), ხონისა და სამტრედიის ეპისკოპოსი საბა (გიგიბერია), ზუგდიდისა და ცაიშის ეპისკოპოსი გერასიმე (შარაშენიძე).

ნათლობა შესრულდა „სისხლის მდინარეში". ეს სახელი ამ ადგილს თავად ხალხმა უწოდა, რადგან სწორედ აქ ხდებოდა მუსულმანთა მიერ ქრისტიანობისათვის თავდადებულ ქართველთა მოწყვეტა.

## აშშ-ში ქართული ტაძარი იხსნება

28 აგვისტოს, ღვთისმშობლის მიძინების დღესასწაულზე ნიუ-იორკში იხსნება წმიდა ნინოს სახელობის ქართული მართლმადიდებლური ტაძარი (მისამართი: 71 სამხრეთი, მე-3 ქუჩა). მის წინამძღვრად დადგენილია დეკანოზი ალექსანდრე თანდილაშვილი.

## ნინოწმიდის მწვერვალზე ჯვარი აღიმართა

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის ილია II ლოცვა-კურთხევით საპატრიარქოს ახალგაზრდული ცენტრი „ძლევაის" დაარსების ათი წლისთავთან დაკავშირებით „ძლევაიმ" (თავმჯდომარე კოტე ხვანაძე) თსუ ნ. ნიკოლაძის სახ. ალპინისტური კლუბის წევრებთან ერთად 5-დან 12 აგვისტომდე მოაწყო მსვლელობა გუდამაყრის ხეობაში.

8 აგვისტოს მსვლელობის მონაწილე 19 ახალგაზრდა მწვერვალ „ნინოწმიდაზე" (დაახ. 3400 მ.) ავიდა და წმიდა ნინოს ჯვარი აღმართა.

აღსანიშნავია, რომ ამ მწვერვალზე პირველად ავიდა და ნინოწმიდის სახელი უწოდა ცნობილმა ქართველმა ალპინისტმა, ამჟამად საქართველოს მთამსვლელთა ფედერაციის პრეზიდენტმა, ბატონმა შოთა მირიანაშვილმა.

## საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული სამომლოცველო სამსახური „ნარიყალა" გიწვევთ მოილოცოთ წმიდა ადგილები: ტაო-კლარჯეთი და კაბადოკია

I - დღე - თბილისი - ბანა - კაბადოკია (ღამისთევა გზაში)
II - დღე - კაბადოკია - დია მუზეუმი, ტოკალი კილისე (შენ ხარ ვენახი)
III - დღე - კაბადოკია - სოღალის ველი (წმ. გიორგისა და წმ. ბარბარეს ეკლესიები), ურისარი, მიწისქვეშა ქალაქი
IV - დღე - კაბადოკია - უკანა გზა (ღამისთევა გზაში)
V - დღე - ხახული - ოშკი - იშხანი (ოუსუფელი)
VI - დღე - ოთხთა - პარხალი (იუსუფელი)
VII - დღე - შატბერდი - არტანუჯის ციხე - (იუსუფელი)
VIII - დღე - ხანძთა - ტბეთი - თბილისი 23:00 სთ

მგზავრობის ღირებულებაში შედის:

1. საბაჟო,
2. ტრანსპორტი თბილისიდან - თბილისამდე
3. სასტუმროები,
4. მიკროავტობუსები ტაო-კლარჯეთში,
5. მუზეუმები კაბადოკიაში,
6. 2-ჯერადი კვება,

მგზავრობის ღირებულება: 270$ (8დღე)
გასვლა: 2.09.2003. 6:30 სთ;

## საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული სამომლოცველო სამსახური „ნარიყალა" გიწვევთ მოილოცოთ წმიდა ადგილები:

**ყაზბეგი (მიძინება ყოვლადწმიდისა დედუფლისა ჩვენისა ღმრთისმშობელისა და მარადის ქალწულისა მარიამისა. მარიამობა);** 28 აგვისტო; ხუთშაბათი; გასვლა 7:00 სთ; ფასი 16 ლ.

**მარტყოფი (ანჩისხატობა — მამა ანტონობა მარტყოფში)** 29 აგვისტო; პარასკევი; გასვლა 8:00 სთ; ფასი 5 ლ.

**ბოლნისის სიონი, წულრულაშენი, დმანისი** 30 აგვისტო; შაბათი; გასვლა 8:00 სთ; ფასი 6 ლ.

**გარეჯი (წმ. დავით გარეჯელის საფლავი, ლავრა, იოანე ნათლისმცემლის მონასტერი)** 30 აგვისტო; შაბათი; გასვლა 8:00 სთ; ფასი 7 ლ.

**მცხეთა-შიომღვიმე (ჯვარი, სვეტიცხოველი, სამთავროს წმ. ნინოს დედათა მონასტერი წირვაზე დასწრება)** 31 აგვისტო; კვირა; გასვლა 8:00 სთ; ფასი 5 ლ.

მომლოცველებს მოემსახურება გიდი
ბილეთები გაიყიდება შემდეგ მისამართებზე
„ოქროს საწმისი", სიონის ქ. 13
ქაშვეთის წმიდა გიორგის ტაძართან არსებული მაღაზია, რუსთაველის 9
დიდუბის ღვთისმშობლის ტაძართან არსებული მაღაზია, წერეთლის 44
ნარიყალას წმიდა ნიკოლოზის სახელობის ტაძარი.
ვაკის სამების ტაძართან არსებული მაღაზია, ჭავჭავაძის 37.
ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით ტელეფონებზე
92 39 78; 30 88 76 (11-დან 17 სთ-მდე);
(899) 266827
ავტობუსები გადის რესპუბლიკის მოედნიდან, სასტუმრო „ივერიის" წინ

საპატრიარქოს უწყებანი

# ფოტომატიანე



მარცხნიდან: თეკლათის მონასტრის იღუმენი კონსტანტინე (ქვარაია) და მისი სულიერი შვილი, ბეთანიის მონასტრის მღვდელმონაზონი ვასილი (ფირცხალავა).

ფოტო გადაღებულია 1950-იან წლებში ბეთანიის მონასტერში.

საქართველოს სხვადასხვა მუზეუმებსა და საცავებში, განსაკუთრებით კი სასულიერო პირების შთამომავალთა საოჯახო არქივებში არაერთი უნიკალური ფოტოა დაცული. ჩვენ მიზნად დავისახეთ, მოვიძიოთ ეს ფოტოები და გავაცნოთ მორწმუნე საზოგადოებას.

თუ თქვენს საოჯახო არქივში მოიპოვება სასულიერო პირთა და საქართველოს ეკლესია-მონასტერთა ფოტოები, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ, რათა ერთობლივი ძალისხმევით დავიწყებისგან ვიხსნათ ისინი.

ჩვენი ტელეფონები:

98 95 41;

72 13 50;

60 61 50;

8(99) 54 82 29.

რუბრიკას უძღვება

ლუარსაბ ტოგონიძე

## ეპარქიების საყურადღებოდ!

შეგახსენებთ, რომ რამდენიმე ეპარქიას აქვს გაზეთის დიდი დავალიანება, რის გამოც „საპატრიარქოს უწყებანის" რედაქცია მატერიალური პრობლემების წინაშე დგას. ამ მიზეზით მოსალოდნელია გაზეთის გამოცემის შეფერხება. გთხოვთ, უახლოეს ხანებში დაფაროთ თქვენი დავალიანება, წინააღმდეგ შემთხვევაში ვეღარ შევძლებთ თქვენთვის გაზეთის მოწოდებას. თანხა შეგიძლიათ ნაწილ-ნაწილ გადაიხადოთ.

იმედი გვაქვს თქვენი გულისხმიერებისა და გაზეთისადმი თანადგომისა.

**კახეთის რეგიონში წინა ნომრების შეძენა შეგიძლიათ ხირსის მონასტერში და წნორში წმიდა ილია მართლის სახელობის ეკლესიაში**

გთხოვთ, გაზეთს გაუფრთხილდეთ მასში დაბეჭდილი მასალების გამო
საპატრიარქოს ვებ-გვერდი: http://www.orthodox-patriarchate-of-georgia.org.ge
მისამართი: ერეკლე II მოედანი №1
საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი ტელ/ფაქსი: 98-95-41,

**რედაქტორი:** ზურაბ ცხოვრებაძე,
**სარედაქციო კოლეგია:** ეპისკოპოსი დიმიტრი (შიოლაშვილი),
დეკანოზი დავით შარაშენიძე, მღვდელი თეოდორე გიგნაძე, თეიმურაზ საგანელიძე,
ლუარსაბ ტოგონიძე, მარინე ბაბუ, ნათია თხილაიშვილი, ხათუნა რამიშვილი, ნანა გორგაძე,
**დამკაბადონებელი:** კახაბერ მაისურაძე, **ოპერატორი:** ზოია კოპაძე.

დასაწყისი მე-5 გვ.

ბა გადასცეს ხელმოწერებთან ერთად.

## მამულიშვილთა ხსოვნის ტრადიციული პანაშვიდი

6 სექტემბერს საზოგადოება „აგვისტო-24"-ის ინიციატივით, 1924 წლის აგვისტოს აჯანყების 79-ე წლისთავთან დაკავშირებით, მეტეხის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის შობის სახელობის ტაძარში დეკანოზმა იოანე გოგიშვილმა შეასრულა ტრადიციული პანაშვიდი 1921-24 წ.წ. საქართველოს დამოუკიდებლობისთვის თავდადებულ მამულიშვილთა სულების საოხად.

## ბაშში ახალი ტაძარი იკურთხა

13 სექტემბერს სამტრედიის რაიონის სოფელ ბაშში ახალი, ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ტაძარი იკურთხა. მისი აღმშენებელი ბატონი მამუკა ხაზარაძეა. ეს არის ორნავიანი ბაზილიკა, რომელშიც ორი საკურთხეველია – ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის მიძინებისა და წმიდა ნიკოლოზისა. ტაძარი ოთხი წლის განმავლობაში შენდებოდა და ძველი – გელათისა და სვეტიცხოვლის ტრადიციების მიხედვით აიგო. ქვა და ორნამენტი ხელითაა ნაკეთები. ძველი ტრადიციის მიმანიშნებელია აგრეთვე ტაძრის ლორფინით გადახურვა. ეს არის ე. წ. ქართული კრამიტი, რომელსაც სამცხე-ჯავახეთში იყენებდნენ. ტაძრის ხუროთმოძღვარია დავით სვანიძე, მშენებელი – დავით ლაცაბიძე. უახლოეს მომავალში ტაძარი შიგნიდან მოიხატება.

ოდესღაც აქ დედათა მონასტერი არსებობდა და დაგეგმილია მისი კვლავ აღდგენა. სოფელ ბაშში თავის დროზე ხუთი ეკლესია არსებობდა, რომელთაგან არცერთი არაა მოღწეული.

ტაძარი აკურთხა ხონისა და სამტრედიის ეპისკოპოსმა საბამ (გიგიბერია). მასთან ერთად სადღესასწაულო წირვას აღავლენდნენ წმიდა სინოდის მღვდელმთავარნი – ბორჯომისა და ბაკურიანის მთავარეპისკოპოსი სერაფიმე (ჯოჯუა), ახალციხის, ტაო-კლარჯეთისა და ლაზეთის ეპისკოპოსი თეოდორე (ჩუაძე), ვანისა და ბაღდათის ეპისკოპოსი ანტონი (ბულუხია), ზუგდიდისა და ცაიშის ეპისკოპოსი გერასიმე (შარაშენიძე), ცაგერისა და ლენტეხის ეპისკოპოსი სტეფანე (კალაიჯიშვილი), დმანისის ეპისკოპოსი ზენონი (იარაჯული) და სენაკისა და ჩხოროწყუს ეპისკოპოსი შიო (მუჯირი).



## კვიპროსზე ქართველი დიაკვანი იკურთხა

კუნძულ კვიპროსზე, კიკოს ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის სახელობის ტაძარში დიაკვნად იკურთხა დავით მაღლაფერიძე.

## საზეიმო წირვა-ლოცვა ბათუმში

2003 წლის 13-14 სექტემბერს უწმიდესმა და უნეტარესმა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II ბათუმისა და სხალთის ეპისკოპოს დიმიტრისთან (შიოლაშვილი) ერთად საზეიმო წირვა-ლოცვა აღავლინა ბათუმში. საღამოს ლოცვა შესრულდა ბათუმის წმიდა ნიკოლოზის სახელობის ტაძარში, სადაც მისი უწმიდესობა ეპისკოპოსად კურთხევის პირველი დღეებიდან აღასრულებდა მსახურებას.

მისმა უწმიდესობამ სადღესასწაულო წირვა-ლოცვა აღავლინა ბათუმის ღვთისმშობლის შობის სახელობის ტაძარში ეპისკოპოს დიმიტრისთან და ეპარქიის სამღვდელოებასთან ერთად.

## ახალი გიმნაზია

გაიხსნა საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ნიკოლოზის სახელობის თბილისის გიმნაზია, რომელიც აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 2003-2004 სასწავლო წლისათვის 1-6 კლასში. სწავლა დაიწყება 1 ოქტომბერს.

**მსურველები დაგვიკავშირდნენ შემდეგ ტელეფონებზე:**

**69 70 36, 69 72 68,**
**899 56 67 21.**

**მისამართი: ნაძალადევის რაიონი, ზედაზნის ქ. №4, №1 სამშობიარო სახლთან.**




# ფოტომატიანე

## დეკანოზი დავით მაჭავარიანი

საქართველოს ეკლესიის დიდი მოღვაწე, წმიდა გაბრიელ ეპისკოპოსის თანამდგომი და მეგობარი. აფხაზეთში მისი 60-წლიანი მოღვაწეობის დროს ქრისტეს სჯულზე მოექცა ათასობით ადამიანი. ასი წლის ასაკს მიღწეული მხცოვანი მოძღვარი გარდაიცვალა XX საუკუნის 20-იანი წლების დასაწყისში.

ფოტო გადაღებულია XIX საუკუნის 90-იან წლებში, ქალაქ სოხუმში.

ფოტო მოგვაწოდა მენჯის მთავარანგელოზის სახელობის შუშანიების სავანის წინამძღვარმა, არქიმანდრიტმა მელქისედეკმა.

---

საქართველოს სხვადასხვა მუზეუმებსა და საცავებში, განსაკუთრებით კი სასულიერო პირების შთამომავალთა საოჯახო არქივებში არაერთი უნიკალური ფოტოა დაცული. ჩვენ მიზნად დავისახეთ, მოვიძიოთ ეს ფოტოები და გავაცნოთ მორწმუნე საზოგადოებას.

თუ თქვენს საოჯახო არქივში მოიპოვება სასულიერო პირთა და საქართველოს ეკლესია-მონასტერთა ფოტოები, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ, რათა ერთობლივი ძალისხმევით დავიწყებისგან ვიხსნათ ისინი.

ჩვენი ტელეფონებია: 98 95 41; 72 13 50; 60 61 50; 8(99) 54 82 29.

*რუბრიკას უძღვება ლუარსაბ ტოგონიძე*

# საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული მომლოცველთა სამსახური „ნარიყალა" გიწვევთ მოილოცოთ წმიდა ადგილები:

**სამცხე-ჯავახეთი** ... 

**ტაო-კლარჯეთი:**

ხახული, ოშკი, იშხანი, შატბერდი, არტანუჯის ციხე, ოთხთა ეკლესია, პარხალი, ბანა, ტბეთი, ხანძთა (18 ოქტომბერი წმ. გრიგოლ ხანძთელის ხსენების დღეა).

მგზავრობის ღირებულება 170$ (4 დღე); გასვლა 16 ოქტომბერი 6:00 სთ.

---

ერთაწმიდა (დიდმოწ. ევსტათი პლაკიდასი, თეოპისტიასი, ცოლისა მისისა, შვილთა მათთა აღაპისა და თეოპისტესი ეკლესია) 3 ოქტომბერი; პარასკევი; გასვლა 8:00 სთ; ფასი 7 ლ.

ვარძია-საფარა 4 ოქტომბერი; შაბათი; გასვლა 8:30 სთ; ფასი 25 ლ.

ყინწვისი-სამწევრისი 4 ოქტომბერი; შაბათი; გასვლა 8:30 სთ; ფასი 8 ლ.

მცხეთა-ზედაზენი (ჯვარი პატიოსნისა, სვეტიცხოველი, სამთავროს წმ. ნინოს დედათა მონასტერი) 5 ოქტომბერი; კვირა; გასვლა 8:30 სთ; ფასი 6 ლ

ბოდბე-ხირსა (წმ. ნინოს საფლავი ; ღირსი მამის სტეფანე ხირსელის საფლავი) 11 ოქტომბერი; შაბათი; გასვლა 8:30 სთ. ფასი 7 ლ.

გომბორმა-უჯარმა 11 ოქტომბერი; შაბათი; გასვლა 8:30 სთ; ფასი 8 ლ.

გარეჯი (წმ. დავით გარეჯელის ლავრა, უდაბნო, იოანე ნათლისმცემლის მონასტერი) 12 ოქტომბერი; კვირა; გასვლა 8:30სთ; ფასი 7 ლ.

სამთავისი-უფლისციხე-ატენის სიონი 12 ოქტომბერი; კვირა; გასვლა 8:30 სთ. ფასი 9 ლ.

მომლოცველებს მოემსახურება გიდი.

ბილეთები გაიყიდება შემდეგ მისამართებზე:

„ოქროს საწმისი", სიონის ქ. 13;

ქაშუეთის წმიდა გიორგის ტაძართან არსებული მაღაზია, რუსთაველის 9;

დიდუბის ღვთისმშობლის ტაძართან არსებული მაღაზია, წერეთლის 44;

ნარიყალას წმიდა ნიკოლოზის სახელობის ტაძარი.

ვაკის სამების ტაძართან არსებული მაღაზია, ჭავჭავაძის 37.

ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით ტელეფონებზე:

92 39 78; 30 88 76 (11-დან 17 სთ-მდე); (899) 266827

ავტობუსები გადის რესპუბლიკის მოედნიდან, სასტუმრო „ივერიის" წინ.

გთხოვთ, გაზეთს გაუფრთხილდით მასში დაბეჭდილი მასალების გამო

საპატრიარქოს ვებ-გვერდი: http://www.orthodox-patriarchate-of-georgia.org.ge

მისამართი: ერეკლე II მოედანი №1

საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი ტელეფონი: 98-95-41.

რედაქტორი: [illegible],

სარედაქციო კოლეგია: [illegible]

დამკაბადონებელი: [illegible], კორექტორი: [illegible]

დასაწყისი მე-6 გვ.

### ვულოცავთ

უწმიდესმა და უნეტარესმა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II 2003 წლის 14 სექტემბერს ბათუმის საკათედრო ტაძარში საზეიმო წირვის აღსრულების შემდგომ საქართველოს ეკლესიის წინაშე გაწეული ღვაწლისათვის მთავარეპისკოპოსის ხარისხში აიყვანა საქართველოს საპატრიარქოს საინფორმაციო სამსახურის უფროსი, ბათუმისა და სხალთის ეპისკოპოსი დიმიტრი (შიოლაშვილი).

* * *

უწმიდესმა და უნეტარესმა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II მსოფლიო პატრიარქთან ერთად ბათუმში ყოფნის დროს საქართველოს ეკლესიის წინაშე გაწეული ღვაწლისათვის მთავარეპისკოპოსის ხარისხში აიყვანა ახალციხის, ტაო-კლარჯეთისა და ლაზეთის ეპისკოპოსი თეოდორე (ჭუაძე) და ხონისა და სამტრედიის ეპისკოპოსი საბა (გიგიბერია).

### დაჯილდოება

9 ოქტომბერს, წმიდა იოანე მოციქულის ხსენების დღეს, წმიდა იოანე ღვთისმეტყველის სახელობის ტაძარში სადღესასწაულო წირვაზე უწმიდესმა და უნეტარესმა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II მიტრის ტარების უფლებით დააჯილდოვა წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ტაძრის წინამძღვარი, საპატრიარქოს პრესცენტრის ხელმძღვანელი, დეკანოზი დავით შარაშენიძე.

### ღვთისმშობლის სახელობის ტაძარი გორჯომში

გორჯომში სამი წლის წინ დაწყებული ღვთისმშობლის სახელობის ტაძრის რესტავრაცია დასრულდა. ეკლესიას შემოარტყეს გალავანი, გაიყვანეს წყლის მილსადენები, ეზო ბაზალტის ფილებით მოპირკეთდა, ტაძარს გაუკეთდა ახალი კიბე და შიგნიდან მთლიანად გაილესა. ახალი ფრესკები ემზარ გოგოლაძისა და ლევან პაპიძეს ეკუთვნით. ადრე არსებული ხის კანკელი შეიცვალა და ახლა იგი ქვაში გამოკვეთილი ქართული ორნამენტებითაა დამშვენებული. მთავარი შესავლელი კარი მოანუქურთმა ვლადიმერ ვეფხვაძემ. შემდგომში ფიქრობენ შეიძინონ ტაძრის ეზოში არსებული სახლი, სადაც დედათა მონასტერი განთავსდება.

ტაძრის აღდგენაში განსაკუთრებული წვლილი მიუძღვით ქალაქის გამგებელს, ბატონ ბესიკ ფოფხაძეს, №2 ქარხნის დირექტორს, ბატონ სტეფანე გაბრიელიძეს, დემურ კაპანაძეს, ბადრი გოგოლაძეს, ნუგზარ ბერიძესა და სხვებს.

### სოფელ საბუეში ეკლესია ამოქმედდა

კახეთის რაიონის სამხრეთით, ყვარლის რაიონის სოფელ საბუეში 20-21 სექტემბერს დიდი დღესასწაული იზეიმეს. სოფელმა საკუთარი სახსრებითა და გარჯით, ერთ წელიწადში აღადგინა ღვთისმშობლის შობის სახელობის ეკლესია. თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ დღეს ხალხს ძალიან უჭირს და სპონსორი ამ საქმეს არ ჰყოლია, ეს ძალიან მცირე დროა. ამ საქმეს ღვაწლმოსილი პედაგოგი (ფიზიკის მასწავლებელი) და ცნობილი ქართველი ქალბატონი დოდო ბაშელიშვილი ედგა სათავეში.

თავის დროზე ღვთისმშობლის შობის სახელობის ეკლესია ჯორჯაძეების საგვარეულო (ციხე-დარბაზის) ეკლესია ყოფილა. ტაძარი ერთნავიანი ბაზილიკაა - რიყის ქვებით ნაგები. იგი XVI საუკუნეში შეუკეთებიათ. ეკლესია ძლიერ იყო დაზიანებული: მორღვეული ჰქონდა სახურავი, კედლები დახეთქილი, კანკელი მოშლილი, იატაკი აყრილი იყო. წლების მანძილზე აქ საქონელი თავს აფარებდა ხოლმე ავდარს. იქვე, ეზოში დგას რვაასი წლის ჭადარი.

სოფელში ორმოცამდე ეკლესია და წმიდა ადგილია (თუმცა აქამდე სოფელს მოქმედი ეკლესია არ ჰქონდა). ამის დასტურად რამდენიმე დასახელებაც იკმარებდა: სოფელში შემონახულია VI საუკუნის ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი - წმიდა შიოს სახელობის ბაზილიკა სამი ტრაპეზით, რომელიც რიყის ქვებით აუშენებიათ და მოგვიანებით აგურით შეუკეთებიათ; ასევე VI-VII სს. წმიდა იოანე ნათლისმცემლის სახელობის მოხატული ბაზილიკა, მაცხოვრის, კვირაძალის, წმიდა გიორგის, წმიდა ბარბარესა და სხვა წმიდათა სახელობის ტაძრები.

ნეკრესელი მიტროპოლიტის სერგის (ჩეკურიშვილი) ლოცვა-კურთხევით 20-21 სექტემბერს აღდგენილ ტაძარში წირვა ლოცვა ჩაატარეს დეკანოზმა თეოდორე ხუციშვილმა და გრემის მამათა მონასტრის წინამძღვარმა, იღუმენმა გაბრიელმა (ჯანგბაზიშვილი); წირვა-ლოცვაში აგრეთვე მონაწილეობდნენ ნეკრესის ეპარქიის ბერ-დიაკონი ილარიონი (ქემაშვილი), დიაკონი კახაბერ გოგოლაძე და გრემის მონასტრის ბერ-დიაკონი იოანე გუგუშვილი. ტაძრის კურთხევის დღეს, 21 სექტემბერს, ნათლობა ჩატარდა. ქართველ ახალგაზრდებთან ერთად მოინათლა ქართველების სიძე, ლუთერანი გერმანელი.

ამიერიდან საბუეს ეკლესიაში წირვა-ლოცვა თვეში ორჯერ ჩატარდება, მოგვიანებით, შესაძლოა, ყოველ შაბათსაც.

გაგრძელება მე-8 გვ.

დასაწყისი მე-7 გვ.

ამ დიდებულ დღესასწაულს უამრავი ადამიანი დაესწრო. ტაძარი ხალხს ვერ იტევდა, სავსე იყო ეკლესიის ეზოც. ბედნიერებისაგან თვალცრემლიანი კაცი თუ ქალი ერთმანეთს ულოცავდა; ბავშვებიც გრძნობდნენ, რომ რაღაც დიდის, ამაღლებულის მოწმენი ხდებოდნენ და გარინდულიყვნენ. ამ ყველაფერს კი აგვირგვინებდა ლაგოდეხის ვაჟ მგალობელთა გუნდი. ალბათ, ყველა იქ მყოფმა თავი ძველ, ძლიერ, მთლიან, მებრძოლ საქართველოში წარმოიდგინა და მომავლის იმედიც ნახა. ღვთის მადლით, გვჯერა, რომ ხალხი, რომელსაც დღეს შეუძლია სულიერებისათვის იღვაწოს და ბედნიერადაც იგრძნოს თავი, არ გადაშენდება!

***მასალის მოწოდებისათვის მადლობას ვუხდით ფილოსოფოს ლამარა შენგელიას.***

## ბათუმში ახალი ტაძარი იკურთხა

2003 წლის 15 სექტემბერს, მწუხრის ლოცვის დაწყების წინ ბათუმისა და სხალთის ეპარქიის სოფელ ზვარეში ბათუმისა და სხალთის მთავარეპისკოპოსმა დიმიტრიმ (შიოლაშვილი) აკურთხა წმიდა გიორგის სახელობის ახალი ტაძარი. 16 სექტემბერს მანვე აღავლინა აქ პირველი საზეიმო წირვა. წირვის დასასრულს კი შესრულდა საერთო ნათლობა.

## ახალი ტაძარი თბილისში

29 სექტემბერს ნუცუბიძის ფერდობის მეორე მიკრორაიონში ყოვლადუსამღვდელოესმა, ზუგდიდისა და ცაიშის ეპისკოპოსმა გერასიმემ (შარაშენიძე) ახალი, ყოვლადწმიდა სამების სახელობის ტაძარი აკურთხა. ტაძრის წინამძღვარია დეკანოზი გიორგი უგრეხელიძე. ამავე ტაძრის მღვდელმსახურად დადგენილია მღვდელმონაზონი ამბროსი მაისურაძე.

## სოფელ ეწერაში ტაძარი იკურთხა

6 ოქტომბერს სოფელ ეწერაში მარგვეთის ეპისკოპოსმა ვახტანგმა (ახვლედიანი) აკურთხა ახალი ტაძარი და შეასრულა საღმრთო ლიტურგია.

## გაღვიძული სიკეთე უფალთან მიდის

ჩოხატაურის რაიონის სოფელ საჯამიასერში გასული საუკუნის დასაწყისში, ოთხი ეკლესია მოქმედებდა, მაგრამ საბჭოური პერიოდის ულმერთობის ხანაში საჯამიასერის ოთხივე ეკლესია იმსხვერპლა.

დიდი დრო დასჭირდა იმას, რომ გზააბნეულ სამწყსოს თავისი შემოქმედი გაეხსენებინა და ღვთისკენ შემობრუნებულიყო...

ღვთისმშობლის წილხვედრ ქვეყანაში დღეს ბევრი ეკლესია შენდება, მაგრამ ისტორია, რომელიც სოფელ საჯამიასერში წმიდა ბარბარეს სახელობის ტაძრის მშენებლობას დაედო საფუძვლად, განსაკუთრებულია და ღვთიბრივი სიყვარულის შუქითაა გასხივოსნებული.

ტრაგიკული შემთხვევის გამო უმძიმეს მდგომარეობაში მყოფი შვილის სასოწარკვეთილმა დედამ უფალს მისი გადარჩენა შევთხოვე და რუის-ურბნისის მიტროპოლიტ იობის (აქიაშვილი) წინაშე ეკლესიის აშენების აღთქმა დავდე. მეუფემ კურთხევა მომცა და სულიერი თანადგომა აღმითქვა.

ჩემს შვილს სასწრაფო ოპერაცია სჭირდებოდა, რაც საკმაო თანხასთან იყო დაკავშირებული. ჩემს ოჯახს კი ამის საშუალება არ გააჩნდა. მოვუხდე რა უფალს, დედების საშუალებით ვნახე გამოსავალი. იმ დროს ივერიის დედათა მონასტრის წინამძღვარმა, დედა პელაგიამ (ამჟამად სურამის ივერიის ღვთისმშობლის მიძინების სახელობის დედათა მონასტრის წინამძღვარი) თხოვნით მიმართა აჭარაში საერთაშორისო ასოციაცია „ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის" პრეზიდენტს - ქალბატონ მაგული გოგიტიძე-აბაშიძეს, რათა დამხმარებოდა განსაცდელში ჩავარდნილს. გულმოწყალე ქალბატონმა გაითავისა ჩემი გაჭირვება და ოპერაციისთვის საჭირო თანხა გამოგვიყო. ოპერაცია ურთულესი აღმოჩნდა, მაგრამ წარმატებით დასრულდა.

და აი, დადგა ღვთისთვის მიცემული აღთქმის შესრულების დრო. 2001 წლის 10 ივლისს სოფელ საჯამიასერში შემოქმედელი მთავარეპისკოპოსის იოსების (კიკვაძე) მიერ იკურთხა წმიდა ბარბარეს სახელობის ტაძრის საძირკველი.

საძირკვლის ჩაყრაში გვერდით დამიდგნენ მეგობრები, ნათესაობა, ქალაქების: თბილისის, მცხეთის, რუსთავის, ფოთის, ბორჯომის, ხაშურის, სურამის, სამტრედიის, ჩოხატაურის, ქობულეთის, ბათუმის, მოსკოვის, სოფლების - ბერნათის, ოხნარის, საჯამიასერის, ზემოხეთის მოსახლეობა.

თბილისში 2002 წლის 14 მაისს თამრობის დღესასწაულზე გამართულ მომღერალ თამარ ჭოხონელიძის საქველმოქმედო კონცერტიდან შემოსული თანხა მთლიანად ეკლესიის საძირკვლის ჩაყრას მოხმარდა.

კონცერტი ჩატარდა საქართველოს საპატრიარქოს კურთხევით, ორგანიზატორები იყვნენ ჩოხატაურის კულტურული მემკვიდრეობის

გაგრძელება მე-9 გვ.

დასაწყისი მე-8 გვ.

და უსურვებენ წარმატებას საქმიანობაში.

### ახალი კურთხევები

2003 წლის 27 აგვისტოს ზუგდიდისა და ცაიშის ეპისკოპოსმა გერასიმემ (შარაშენიძე) ზუგდიდის რაიონის კორცხელის ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ტაძარში სამონაზვნე რაქელი (რობაქიძე) აკურთხა მონაზვნად მარიამის სახელით.

* * *

2003 წლის 28 აგვისტოს ზუგდიდისა და ცაიშის ეპისკოპოსმა გერასიმემ ზუგდიდის ვლაქერნის ღვთისმშობლის სახელობის საკათედრო ტაძარში მღვდლად ხელი დაასხა ამავე ტაძრის დიაკონს გალაქტიონ ფიფიას.

*ზუგდიდისა და ცაიშის ეპარქიის პრესცენტრი*

# ქრონიკა, ინფორმაცია

## „საპატრიარქოს უწყებანის" ელექტრონული ვერსია ინტერნეტში

გაცნობებთ, რომ ამიერიდან საპატრიარქოს **VEB**-გვერდზე სისტემატურად განთავსდება გაზეთების „საპატრიარქოს უწყებანი" და „საპატრიარქოს უწყებანის დამატება ბავშვებისათვის" ელექტრონული ვერსიები. იქვე იხილავთ არქივს, სადაც განთავსებული იქნება ძველი ნომრებიც.

საპატრიარქოს **VEB**-გვერდის მისამართია: **www. patriarchate.ge**

გთხოვთ, მოგვწეროთ თქვენი სურვილები და შენიშვნები. გამოგვეხმაურეთ შემდეგ მისამართზე:

ელ-ფოსტა: **presscentri@yahoo.com**

## მალე ბათუმში უდედმამო ბავშვთა სახლი ამოქმედდება

მშობლების მზრუნველობას მოკლებული ბათუმის წმიდა მატათა მოციქულის სახელობის გიმნაზია-პანსიონი, რომელიც სულ მალე ამოქმედდება, ერთი წლის წინ ასე გამოიყურებოდა - ოთხსართულიანი შენობის მხოლოდ კედლები.

ეკლესიამ არასამთავრობო ორგანიზაცია შავი ზღვის ეკო-აკადემიასთან ერთად იაპონიის საელჩოს მიერ დაწესებული გრანტი მიიღოვა და დღეს თამამად შეიძლება ითქვას, აქ საუკეთესო პირობებია შექმნილი პატარებისათვის.

გიმნაზია-პანსიონის კეთილმოწყობაში ეკლესიასთან ერთად უდიდესი წვლილი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მეთაურს ასლან აბაშიძესა და ქალბატონ დიანა აბაშიძეს ეკუთვნით, რომელთა ძალისხმევით ამჟამადაც ბევრი რამ კეთდება.

ბათუმისა და სხალთის მთავარეპისკოპოს დიმიტრის (შიოლაშვილი) ლოცვა-კურთხევით 150 ბავშვზე გათვალისწინებულ გიმნაზია-პანსიონში 16 წლამდე ასაკის მოზარდები იცხოვრებენ. იქნება აგრეთვე ჩვილბავშვთა განყოფილებაც. უდედმამოდ, უსახლკაროდ დარჩენილი პატარები ამ თბილ და ლამაზ კედლებში იპოვნიან ნავსაყუდელს.

## ზარზმის მონასტერი საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წიაღში დაბრუნდა

1997 წელს ადიგენის რაიონის სოფელ ზარზმაში არსებული მონასტრის წინამძღვარმა არქიმანდრიტმა გიორგიმ (ხაბეიშვილი) რამდენიმე სხვა მონასტრის სასულიერო პირთან ერთად ლოცვით-ევქარისტიული კავშირი გაწყვიტა საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიასთან. განხეთქილების მოქმედთა მოთხოვნა იყო, საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას გაეწყვიტა ლოცვით-ევქარისტიული კავშირი



ზარზმის მონასტერი

ეკლესიათა მსოფლიო საბჭოში გაწევრიანებულ მართლმადიდებელ ეკლესიებთან. იმ პერიოდში ყველა ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესია ამ საერთაშორისო ორგანიზაციის წევრი იყო. ბუნებრივია ეს მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა. სამწუხაროდ, ზარზმის მონასტრის წინამძღვარი ისევე, როგორც ზოგიერთი სხვა სასულიერო პირი, შეუერთდნენ მსოფლიო მართლმადიდებელ ეკლესიასთან განხეთქილებაში მყოფ ე.წ. ავქსენტიოსის სინოდს („ბისტონური ფრთა"). რამდენიმე წლის შემდეგ ზარზმის მონასტერი გადავიდა განხეთქილებაში არსებულ სხვა დაჯგუფებაში (ე.წ. რუსეთის ჭეშმარიტი მართლმადიდებელი ეკლესია). არქიმანდრიტ გიორგის (ხაბეიშვილი) გარდაცვალების შემდეგ მონასტერი კვლავ დაუბრუნდა დედაეკლესიას.

11 ნოემბერს ზარზმაში ღირსი მამის სერაპიონ ზარზმელის ხსენების დღესასწაულზე წირვა აღავლინეს ნიქოზისა და ცხინვალის მთავარეპისკოპოსმა ისაიამ (ჭანტურია), ბორჯომისა და ბაკურიანის მთავარეპისკოპოსმა სერაფიმემ (ჯოჯუა), ფოთის მთავარეპისკოპოსმა გრიგოლმა (ბერბიჭაშვილი), ახალციხის, ტაოკლარჯეთისა და ლაზეთის მთავარეპისკოპოსმა თეოდორემ (ჭუაძე), ხონის მთავარეპისკოპოსმა საბამ (გიგიბერია), ვანისა და ბაღდათის ეპისკოპოსმა ანტონმა (ბულუხია), ხევისა და სტეფანწმიდის ეპისკოპოსმა პეტრემ (ცაავა) სამღვდელოებასთან ერთად.

მონასტრის წინამძღვრად დაინიშნა მღვდელ-მონაზონი ნიკოლოზი (გეწაძე).

## ახალი ტაძარი საგურამოში

8 ნოემბერს საგურამოში ამოქმედდა წმიდა ილია მართლის სახელობის ტაძარი, რომელიც აკურთხა ბოლნისის მთავარეპისკოპოსმა თადეოზმა (იორამაშვილი). მეორე დღეს ტაძარი მოილოცა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II, რომელმაც ახლადაშენებულ ტაძარში პარაკლისი გადაიხადა.

## იკურთხა ახალი ტაძარი

მარნეულის რაიონის სოფელ თამარისში მიწისძვრით დაზარალებულმა ნავერიანების გვარმა სოფლისა და რაიონის მესახლეობის ხელშეწყობით ააშენა წმიდა გიორგის სახელობის ეკლესია.

გასულ კვირას ახალი ტაძარი აკურთხა რუსთავის მიტროპოლიტმა ათანასემ ეპარქიის სამღვდელოებასთან ერთად.

# ქრონიკა, ინფორმაცია

## პატრიარქი დაჯილდოვდა

როგორც „საპატრიარქოს უწყებანის“ წინა ნომერში (№45) გაუწყეთ, 8 ნოემბერს, წმიდა ილია მართლის (ჭავჭავაძე) დაბადების დღეს საგურამოში, მწერლის სახლ-მუზეუმთან ახლოს წმიდანის სახელობის ტაძარი გაიხსნა. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II დალოცა მრევლი და ტაძრის ქტიტორები: გიორგი ანდღულაძე, გიორგი გაგუა, ვაჟა უსანეთაშვილი, ილია შონია და თენგიზ გავაშელი. ქტიტორთა ჯგუფის მიერ დაარსებულმა ფირმა „კალახმა“, „ილიას ფონდმა“ და ჟურნალ „საგურამოს“ რედაქციამ დაარსეს ილია ჭავჭავაძის მედალი – „მარად და ყველგან, საქართველოვ, მე ვარ შენთანა“.

ილია ჭავჭავაძის მედალი ქართული კულტურისა და სულიერების წინაშე გაწეული ღვაწლისათვის პირველად მიენიჭა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, უწმიდესსა და უნეტარესს ილია II.

## ახალი ხელდასხმები

16 ნოემბერს უწმიდესმა და უნეტარესმა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II სიონის საპატრიარქო ტაძარში მღვდლად დაასხა ხელი თბილისის სასულიერო სემინარიის IV კურსის სტუდენტს, დიაკვან გიორგი თეთრუაშვილს.

* * *

16 ნოემბერს უწმიდესმა და უნეტარესმა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II სიონის საპატრიარქო ტაძარში დიაკვნად დაასხა ხელი თბილისის სასულიერო აკადემიის II კურსის სტუდენტს, საქართველოს საპატრიარქოს რადიო „ივერიის“ თანამშრომელს, კონსტანტინე ლეკიშვილს.

* * *

სიონის ტაძრის მიმდებარე ტერიტორიაზე, ძველ რუსულ სამრეკლოში გაიხსნა სღვთისმსახურო შესამოსლის ქსოვილების მაღაზია, სადაც შეღავათიან ფასებში შესაძლებელია, შეიძინოთ ბერძნული და რუსული წარმოების ქსოვილები, ასევე ღილები, ბაფთები და შესამოსელისათვის საჭირო ყველა ნივთი.

* * *

საქართველოს საპატრიარქოს ადმინისტრაციული შენობის I სართულზე მდებარე საწყობში საბითუმო ფასებში შეგიძლიათ შეიძინოთ ადგილობრივი და რუსული წარმოების სღვთისმსახურო ნივთები და ლიტერატურა.

# ფოტომატიანე



## მიტროპოლიტი გიორგი (ალადაშვილი)

(1850-1924)

მიტროპოლიტი გიორგი (ერისკაცობაში დავით გიორგის ძე ალადაშვილი) დაიბადა 1850 წლის 8 დეკემბერს, ქიზიყის სოფელ არბოშიკში. 1875 წელს დაასრულა თბილისის სასულიერო სემინარია, ხოლო 1884 წელს – კიევის სასულიერო აკადემია. იმავე წელს დაინიშნა ოზურგეთისა და სამეგრელოს სასულიერო სასწავლებლების ზედამხედველად. 1899 წელს აღიკვეცა ბერად და გიორგი ეწოდა. 1902 წელს გარეჯის იოანე ნათლისმცემლის მონასტრის არქიმანდრიტია. 1905 წლის 25 სექტემბერს ხელდასხმული იქნა გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსად. 1908 წლიდან 1917 წლამდე განაგებდა იმერეთის ეპარქიას, ხოლო შემდგომ – წილკნისას. 1920 წელს ჭყონდიდის ეპარქიის მიტროპოლიტია და დროებით მართავდა ბათუმ-შემოქმედის ეპარქიასაც. საქართველოში კომუნისტური ხელისუფლების ძალადობით დამყარების შემდგომ მხცოვანი მიტროპოლიტი პენსიაში გადის და განაგებს წმიდა სტეფანე ხირსელის სახელობის მონასტერს. 1924 წელს ულმერთოთა მიერ დარბეული იქნა მონასტერი და მიტროპოლიტი გიორგი იძულებული გახდა, მშობლიურ სოფელს შეჰკედლებოდა, სადაც რამდენიმე კვირაში აღესრულა კიდეც. დაკრძალულია სოფელ არბოშიკის ეკლესიის გალავანში.

*ფოტო გადაღებულია ქუთაისში XX ს-ის 10-იან წლებში ფოტოგრაფ საღარაძის სალონში.*

---

საქართველოს სხვადასხვა მუზეუმებსა და საცავებში, განსაკუთრებით კი სასულიერო პირების შთამომავალთა საოჯახო არქივებში არაერთი უნიკალური ფოტოა დაცული. ჩვენ მიზნად დავისახეთ, მოვიძიოთ ეს ფოტოები და გავაცნოთ მორწმუნე საზოგადოებას.

თუ თქვენს საოჯახო არქივში მოიპოვება სასულიერო პირთა და საქართველოს ეკლესია-მონასტერთა ფოტოები, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ, რათა ერთობლივი ძალისხმევით დავიწყებისგან ვიხსნათ ისინი.

ჩვენი ტელეფონებია: 98 95 41; 72 13 50; 60 61 50; 8(99) 54 82 29.

*რუბრიკას უძღვება ლუარსაბ ტოგონიძე*


გამოვიდა „საპატრიარქოს უწყებანის დამატება ბავშვებისათვის“




„საპატრიარქოს უწყებანის“ ელექტრონული ვერსია ინტერნეტში

გაცნობებთ, რომ ამიერიდან საპატრიარქოს VEB-გვერდში სისტემატურად განთავსდება გაზეთების „საპატრიარქოს უწყებანი“ და „საპატრიარქოს უწყებანის დამატება ბავშვებისათვის“ ელექტრონული ვერსიები. იქვე იხილავთ არქივს, სადაც განთავსებული იქნება ძველი ნომრებიც.

საპატრიარქოს VEB-გვერდის ახალი მისამართია:

**www. patriarchate.ge**



ვთხოვთ, გაზეთს გაუფრთხილდით მასში დაბეჭდილი მასალების გამო

საპატრიარქოს ვებ-გვერდი: http://www.patriarchate.ge

მისამართი: ერეკლე II მოედანი №1

საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი ტელ/ფაქსი: 98-95-41.

**რედაქტორი:** ზურაბ ცხოვრებაძე,
**სარედაქციო კოლეგია:** მთავარეპისკოპოსი დანიელი (დათუაშვილი), დეკანოზი დავით შარაშენიძე, მღვდელი თეოდორე გიგნაძე, თეიმურაზ საბანიძე, ლუარსაბ ტოგონიძე, მარიამ ბაბუა, ნათია თარაშვილი, ხათუნა რამიშვილი, ნანა ქობახიძე,
**დამკაბადონებელი:** კახაბერ მაისურაძე, **კორექტორი:** ზურა ქობახიძე.

# ფოტომატიანე



მარცხნიდან: წილკნელი ეპისკოპოსი პავლე (ჯაფარიძე) (1888-1929); მანგლელი მიტროპოლიტი კალისტრატე (ცინცაძე) (1866-1952), შემდგომში საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი; ცხუმ-აფხაზეთის ეპისკოპოსი ვარლამი (მახარაძე) (1873-1943), 1937 წელს რეპრესირებული, გარდაიცვალა გადასახლებაში.

ფოტო გადაღებულია თბილისში 1929 წელს

საქართველოს სხვადასხვა მუზეუმებსა და საცავებში, განსაკუთრებით კი სასულიერო პირების შთამომავალთა საოჯახო არქივებში არაერთი უნიკალური ფოტოა დაცული. ჩვენ მიზნად დავისახეთ, მოვიძიოთ ეს ფოტოები და გავაცნოთ მორწმუნე საზოგადოებას.

თუ თქვენს საოჯახო არქივში მოიპოვება სასულიერო პირთა და საქართველოს ეკლესია-მონასტერთა ფოტოები, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ, რათა ერთობლივი ძალისხმევით დავიწყებისგან ვიხსნათ ისინი.

ჩვენი ტელეფონებია: 98 95 41; 72 13 50; 60 61 50; 8(99) 54 82 29.

*რუბრიკას უძღვება ლუარსაბ ტოგონიძე*


გამოვიდა „საპატრიარქოს უწყებანის დამატება ბავშვებისათვის“






## „საპატრიარქოს უწყებანის“ ელექტრონული ვერსია ინტერნეტში

გაცნობებთ, რომ ამიერიდან საპატრიარქოს ვებ-გვერდზე სისტემატურად განთავსდება გაზეთების „საპატრიარქოს უწყებანი“ და „საპატრიარქოს უწყებანის დამატება ბავშვებისათვის“ ელექტრონული ვერსიები. არქივში შესაძლებლობა გექნებათ გაეცნოთ ძველ ნომრებს.

საპატრიარქოს ვებ-გვერდის ახალი მისამართია:

**www. patriarchate.ge**



გთხოვთ, გაზეთს გაუფრთხილდეთ მასში დაბეჭდილი მასალების გამო

საპატრიარქოს ვებ-გვერდი: http://www. patriarchate.ge

მისამართი: ერეკლე II მოედანი №1

საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი ტელ/ფაქსი: 98-95-41.

**რედაქტორი:** ნუგზარ ცხოვრებაძე,

**სარედაქციო კოლეგია:** მთავარეპისკოპოსი დანიელი (დათუაშვილი), დეკანოზი დავით შარაშენიძე, მღვდელი თეოდორე გიგნაძე, თინათინ საჯაიაძე, ლუარსაბ ტოგონიძე, მარიამ მაჩაბ, ნათია თაყაიშვილი, ხათუნა რატიაშვილი, ნანა კოჭლამაზაშვილი,

**დამკაბადონებელი:** კახაბერ მაისურაძე, **ოპერატორი:** ნინო ქობახიძე.

დასაწყისი მე-4 გვ.

***ნინო ბურჯანაძე:*** მეც არაერთხელ მითქვამს, რომ ყველაზე მნიშვნელოვანი ის იყო, რომ ღმერთმა გადაგვარჩინა და ამ ძალიან დიდი ქარტეხილის დროს საქართველოს ცხოვრებაში არ იყო მსხვერპლი. ახლა ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ მშვიდობა, სტაბილურობა და სამართლიანობა აღდგენილი და შენარჩუნებული იყოს ქვეყანაში და საქართველოში სამშვიდობოს გავიდეს.

***კითხვა:*** თქვენო უწმიდესობავ, თქვენ ბრძანეთ, რომ ეკლესიას დაემუქრა გარკვეული საფრთხე. რა გქონდათ მხედველობაში?

***პატრიარქი ილია II:*** არანაირ საფრთხეს ჩვენ არ ველოდებით. მე უბრალოდ აღვნიშნე, რომ ხალხში ვრცელდება ხმები, რომ ასეთი ჯგუფი შეიძლება შემოიჭრას აქ, ისევე, როგორც ეს უნივერსიტეტში მოხდა. არა მგონია, რომ ეს მოხდეს. ერთადერთი ეკლესია დაგვრჩა, რომელიც ამთლიანებს ჩვენს ერს და სიმშვიდე შემოაქვს. და ეკლესიას და სიწმიდეებს თუ შეეხო, – არაფერი დაგვრჩება. ასე რომ, უნდა გავუფრთხილდეთ ეკლესიას.

***ნინო ბურჯანაძე:*** მინდა ვთქვა, რომ დარწმუნებული ვარ, საქართველოში აზრად არავის მოუვა საპატრიარქოსთან რაიმე აქციის ჩატარება ან მისი არასწორად მოხსენიება; არც რაიმე საფრთხე შეიძლება დაემუქროს ეკლესიას, ეს არის აბსოლუტურად გამორიცხული. ვფიქრობ, ეს უბრალოდ არაკეთილმოსურნეთა მიერ გავრცელებული ხმებია, რომელთაც სურთ, შიში შემოიტანონ ქვეყანაში, შიში დაამკვიდრონ საზოგადოებაში. მინდა კიდევ ერთხელ გავიმეორო, ჩვენ იმისათვის ვართ მოწოდებულნი, რომ სიმშვიდე, სტაბილურობა, სამართლიანობა და დემოკრატია იყოს ქვეყანაში. რა თქმა უნდა, არავითარი დიქტატორული ან რევოლუციური მეთოდები ქვეყანაში გამოყენებული არ იქნება.

## სემინარი ქრისტიანული კვლევის საერთაშორისო ცენტრში

საპატრიარქოსთან არსებული ქრისტიანული კვლევის საერთაშორისო ცენტრი აწყობს სემინარების ციკლს – „მედიცინის სულიერ-ზნეობრივი პრობლემები“. სემინარებში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ როგორც პრაქტიკული და თეორიული მედიცინის მუშაკებს, ასევე ყველა დაინტერესებულ პირს. შეხვედრები იმართება ყოველ სამშაბათს 16 სთ-ზე ქრისტიანული კვლევის საერთაშორისო ცენტრში.

მისამართი: ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი, მელიქიშვილის 10, მე-3 სართული.

## ხელდასხმა

2003 წლის 30 ნოემბერს უწმიდესმა და უნეტარესმა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II სიონის საკათედრო ტაძარში დიაკვნად აკურთხა თბილისის სასულიერო აკადემიის კურსდამთავრებული დავით რევაზიშვილი.

* * *

სიონის ტაძრის მიმდებარე ტერიტორიაზე, ძველ რუსულ სამრევლოში გაიხსნა სადვთისმსახურო შესამოსლის ქსოვილების მაღაზია, სადაც შეღავათიან ფასებში შესაძლებელია, შეიძინოთ ბერძნული და რუსული წარმოების ქსოვილები, ასევე ღილები, ბაფთები და შესამოსელისათვის საჭირო ყველა ნივთი.

* * *

საქართველოს საპატრიარქოს ადმინისტრაციული შენობის I სართულზე მდებარე საწყობში საბითუმო ფასებში შეგიძლიათ შეიძინოთ ადგილობრივი და რუსული წარმოების სადვთისმსახურო ნივთები და ლიტერატურა.

## იკურთხა ახალი ტაძრის საძირკველი

28 ნოემბერს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II სააქციო საზოგადოება „თბილავიამშენის“ (ყოფილი 31 საავიაციო ქარხნის) ტერიტორიაზე აკურთხა წმიდა გიორგის სახელობის ტაძრის საძირკველი.

კურთხევაში მონაწილეობდნენ ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი დანიელი (დათუაშვილი) და ახალციხის, ტაო-კლარჯეთისა და ლაზეთის ეპისკოპოსი თეოდორე (ჭუაძე), დეკანოზი ზაქარია მაჩიტაძე, დეკანოზი ტარიელ სიკინჭილაშვილი, დეკანოზი ილია ნასიძე. კურთხევის შემდეგ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა წარმოთქვა ქადაგება:

**„ყოვლადსამღვდელონო მეუფენო, ჩვენო სულიერო შვილებო,**

**დღეს ბედნიერი დღეა მთელი საქართველოსთვის – საფუძველი ეყრება წმიდა გიორგის ტაძარს და ეს ნიშანდობლივია - წმიდა**

დასასრული მე-6 გვ.

# ფოტომატიანე



## გურიაში მოღვაწე სასულიერო პირთა ჯგუფი.

**ბახმარო. 1912 წელი.**

*მარცხნიდან პირველ რიგში:* მღვდელი მეგრელიშვილი, მღვდელი ბესარიონ დოლიძე, მღვდელი ქრისტეფორე კეჟაძე, მღვდელი პავლე დოიძიძე, მღვდელი დავით აფხაზავა, უცნობი სასულიერო პირი, მღვდელი პავლე მეგრელიძე, უცნობი სასულიერო პირი.

*მეორე რიგში:* დეკანოზი დიომიდე ნიჟაძე, მღვდელი გერასიმე დადიანი, დეკანოზი ზოსიმე შანიძე, დეკანოზი მაქსიმე სიხარულიძე, უცნობი სასულიერო პირი.

ფოტოს დედანი ინახება სამება-[illegible] დედათა მონასტერში. მოწოდებისათვის მადლობას ვუხდით მონასტრის წინამძღვარს არქიმანდრიტ ანდრიას (ბიბილაშვილი) და დედათა კრებულს.

*ფოტოზე გამოსახულ სასულიერო პირთა შთამომავლებს ვთხოვთ, გამოგვეხმაურონ.*

თუ თქვენს საოჯახო არქივში მოიპოვება სასულიერო პირთა და საქართველოს ეკლესია-მონასტერთა ფოტოები, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ, რათა ერთობლივი ძალისხმევით დავიწყებისგან ვიხსნათ ისინი.

ჩვენი ტელეფონებია: 98 95 41; 72 13 50; 60 61 50; 8(99) 54 82 29.

*რუბრიკას უძღვება ლევარსაბ ტოგონიძე*

### ჩვენი დროის მოღვაწის ნააზრევი

# რა შეუძლია ხელის-უფალს

**ბერი პაისი ათონელი (+1994წ.)**

● ...მიდით, შეევედრეთ უფალს, განანათლოს არა მარტო ისინი, ვინც ეკლესიას ეკუთვნიან, არამედ ისინიც, ვინც იმყოფებიან ხელისუფლებაში, რათა მათ ჰქონდეთ უფლის შიში და შეძლონ, თქვან რაიმე სარწმუნოებით განათლებული სიტყვა. ხელისუფალთ თუნდ ერთი განათლებული სიტყვით, შეუძლიათ, მყისიერად შეცვალონ ქვეყნად მდგომარეობა, ერთი უაზრო სიტყვით კი შეუძლიათ, გარყვნან მთელი სახელმწიფო. კეთილი გადაწყვეტილება – მადლია სამყაროსათვის, ცუდი კი – კატასტროფა. ადამიანთა უბედურება მხოლოდ მათი მატერიალური სიდუხჭირე არ არის, მხოლოდ ის არაა, რომ მათ არაფერი აქვთ და ხელმოკლედ ცხოვრობენ; ადამიანთა სულიერი უბედურება კიდევ უფრო საშინელია. ლოცვა ძალიან დაეხმარება მათ, რათა ქრისტემ ადამიანებს ცოტაოდენი სინათლე მისცეს.

● წმიდა არსენ კაპადოკიელი 28-ე ფსალმუნს კითხულობდა მათთვის, ვინც ამქვეყნად საშიშროებას იტყვის. მე კი მისი კითხვისას ვამბობ: „ღმერთო ჩემო, უკვე ხმელეთიც კი – ანუ მთელი სამყარო ზღვაზე უფრო საშიში გახდა! ადამიანები სულიერად იძირებიან სოფლის ამაოებაში...“

*თარგმნა*

*თამარ ასათიანმა*

გთხოვთ, გაზეთის გაუფრთხილდეთ მასში დაბეჭდილი მასალების გამო
„საპატრიარქოს უწყებანის" ვებ-გვერდი: http://www.patriarchate.ge
მისამართი: ერეკლე II მოედანი №1
საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი ტელ/ფაქსი: 98-95-41.

რედაქტორი: ზურაბ ცხოვრებაძე,
სარედაქციო კოლეგია: მთავარეპისკოპოსი დიმიტრი (შიოლაშვილი),
დეკანოზი დავით შარაშენიძე, მღვდელი თეოდორე გიგნაძე, თეიმურაზ საგანელიძე,
ლევარსაბ ტოგონიძე, მარიამ გაგუა, ნათია თარაშვილი, ხათუნა ჩაჩიაშვილი, ნანა გოგოხია,
დამკაბადონებელი: კახაბერ მაისურაძე, კორექტორი: ზოია კობახიძე.

დასაწყისი მე-7 გვ.

განსაკუთრებული შთაბეჭდილება საქართველოში მომლოცველობას მოუხდენია. მათ აღნიშნეს, რომ არსად მიუღიათ ხატი ისეთი სიყვარულითა და მოკრძალებით, როგორც საქართველოში.

*მასალები მოგვაწოდა გერმანიაში საქართველოს საელჩოს კულტურის ატაშემ, სოფიო საყვარელიძემ*

### ხელდასხმა

21 ნოემბერს, წმიდა მთავარ-ანგელოზთა ხსენების დღეს, სამთა-



ვისისა და გორის ეპისკოპოსმა ან-დრიამ (გვაზავა) მღვდლად დაასხა ხელი დიაკვან დავით კუჭავას.

* * *

7 დეკემბერს უწმიდესმა და უნეტარესმა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II სიონის საპატრიარქო ტაძარში დიაკვნად დაასხა ხელი დავით ლონდარიძეს.

* * *

14 დეკემბერს უწმიდესმა და უნეტარესმა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II სიონის საპატრიარქო ტაძარში მღვდლად დაასხა ხელი დიაკვან კახაბერ ასათიანს.

### ახალი გამოცემა

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიამ და შოთა რუსთაველის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტმა გამოსცა ამბროსი ნეკრესელის ქადაგებანი. ტექსტები გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა დაურთო დეკანოზმა მიქაელ ჭაბაშვილმა. გაზეთი „საპატრიარქოს უწყებანი" უკვე იუწყებოდა, რომ აღნიშნული კვლევა დეკანოზ მიქაელის სადისერტაციო ნაშრომია და რომ ეს არის სასულიერო პირის მიერ დაცული პირველი დისერტაცია ლიტერატურის ინსტიტუტში.

ამბროსი ნეკრესელის ქადაგებათა პირველი კრებული 1881 წელს გამოსცა წმიდა ეპისკოპოსმა ალექსანდრემ (ოქროპირიძე). მასში მღვდელმთავრის 43 ჰომილია შევიდა. ბოლო დროს კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდებში აღმოჩნდა მეუფე ამბროსის უცნობი ქადაგებები.

აღნიშნულ წიგნში შესულია ამბროსი ნეკრესელის აქამდე უცნობი 27 ჰომილია და 7 შესხმა.

### სამძიმარი

საქართველოს საპატრიარქო ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა წმიდა პანტელეიმონის ტაძრის მღვდელმსახური გიორგი ბარათაშვილი და სამძიმარს უცხადებს გარდაცვლილის ოჯახს.

ღმერთმა დააწესოს მისი სული იქ, სადაც მართალნი განისვენებენ.

მკითხველს ვთხოვთ, ლოცვაში მოიხსენიოს მღვდელი გიორგის სული.

* * *

„საპატრიარქოს უწყებანის" რედაქცია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა წმიდა გაბრიელ ქიქოძის სახელობის საპატრიარქოს ფსიქოლოგიური დახმარების კაბინეტის ფსიქიატრი ნინო ნატროშვილი და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს. ღმერთმა დააწესოს მისი სული, სადაცა მართალნი განისვენებენ. გთხოვთ, მოიხსენიოთ თქვენს ლოცვებში ახლადშესვენებული ნინოს სული.


## საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული მომლოცველთა სამსახური გიწვევთ, მოილოცოთ წმიდა ადგილები:

**ბარეჯი (წმიდა დავით გარეჯელის საფლავი; ლავრა; უდაბნო; ნათლისმცემლის ლავრა)** 27 დეკემბერი; კვირა; გასვლა 9:00 სთ; ფასი 7 ლ.

**ბოდბე-ნინოწმიდა (წმიდა ნინოს საფლავი)** 28 დეკემბერი; შაბათი; გასვლა9:00 სთ; ფასი 7 ლ.

**მომლოცველებს მოემსახურება გიდი**

ბილეთები გაიყიდება შემდეგ მისამართებზე:

"ოქროს საწმისი", სიონის ქ. 13, ქაშვეთის წმიდა გიორგის ტაძართან არსებული მაღაზია, რუსთაველის 9

დიდუბის ღვთისმშობლის ტაძართან არსებული მაღაზია, წერეთლის 44

ვაკის სამების ტაძართან არსებული მაღაზია, ჭავჭავაძის 37

**ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით**

**ტელ. 92 39 78; 30 88 76 (11-დან 17 სთ-მდე); (899) 26 68 27**

**ავტობუსები გადის რესპუბლიკის მოედნიდან, სასტუმრო ივერიის წინ**

დასაწყისი მე-4 გვ.

რომ სურს დაგვეხმაროს და სიკეთე მოგვიტანოს, სინამდვილეში კი მას ჩვენი დაღუპვა სურს, რადგან იცის, რომ თვითონ განწირულია და აუცილებლად სხვების დაღუპვასაც ცდილობს.

რა არის საჭირო იმისათვის, რომ ასეთი ხედვა ჰქონდეს ადამიანს? უპირველეს ყოვლისა, რა თქმა უნდა, ჭეშმარიტი მართლმადიდებელი სარწმუნოება და სიყვარული. სარწმუნოება მკვდარია კეთილი საქმეებისა და ცოცხალი რწმენის გარეშე, როგორც ამბობს იაკობ მოციქული. ასევე საჭიროა თავმდაბლობაც. ბიბლიაში წერია: „ღმერთი ამპარტავანთა შემუსრავს, ხოლო თავმდაბალთ მიანიჭებს მადლს“, ამიტომაც ბრძანებს ეფრემ ასური: „ჰე, უფალო, მომანიჭე მე განცდაი თვისთა ცოდვათა და არა განკითხვად ძმისა ჩემისა.“ აი, ეს არის გზა. ადამიანმა უნდა დაინახოს თავისი ცოდვები. ჩვენს დროში უმრავლესობა სხვის ცოდვებს, სხვის ნაკლს კარგად ხედავს, საკუთარს კი ვერ ამჩნევს. ეს იმის ნიშანია, რომ მადლი ღვთისა, ის მადლი, რომელიც არის „უძლურთა მკურნალი და ნაკლულევანთა აღმავსებელი“ არ არის მასში. ადამიანი, რომელიც ვერ ხედავს თავის ცოდვას, იგი მადლისგან განძარცვულია. თუმცა, შეიძლება ის მორწმუნეც იყოს, მაგრამ მარტო რწმენა არ არის საკმარისი, რადგან რწმენა ეშმაკსაც გააჩნია, ისიც მორწმუნეა, მაგრამ სიკეთე და თავმდაბლობა არა აქვს. ჩვენ ყველას გვჭირდება ასევე მიმტევებლობა. თუ ვინმემ რაიმე გავნო, შენ უნდა გქონდეს იმის უნარი, რომ იმ დღესვე მიუტევო, რადგან არ იცი, ხვალინდელი დღე გაგითენდება, თუ არა.

შევთხოვთ წმიდა ნიკოლოზს, რომ მოგვანიჭოს სულიერი ძალა, განამტკიცოს ქართველ ერში და მთელს მსოფლიოში ჭეშმარიტი რწმენა და სიყვარული კეთილის ყოფად; შევთხოვ, ასევე განამტკიცოს ჩვენში სულიერი ხედვა, რომ ღრმად ჩავიხედოთ საკუთარ თავში და დავინახოთ, რა არის ჩვენში ბოროტი და რა კეთილი; შემდეგ კი ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რომ ამ ბოროტებისაგან გავთავისუფლდეთ.

ნურასდროს იფიქრებთ, რომ უკვე რაღაცას მიაღწიეთ და სიკეთეს აკეთებთ. წმიდა მამები ამბობენ, რომ როგორც კი ადამიანს ასეთი გრძნობა გაუჩნდება, იმ დღიდან და იმ წუთიდან იწყება მისი დაცემა. ასევე ნურავის განიკითხავთ, რადგან როდესაც ადამიანი სხვას განიკითხავს, იმ წუთიდანვე იწყება მისი დაცემა და ძალიან ხშირი შემთხვევაა, როცა ადამიანი იგივე ცოდვაში ვარდება, რის გამოც სხვებს განიკითხავს.

თქვენ იცით დღეს ძალიან უჭირს საქართველოს. აშკარაა ბრძოლა სიკეთესა და ბოროტებას შორის. თქვენ იცით, რომ ჩვენ ვცხოვრობთ ძალიან მძიმე გარდამავალ პერიოდში. და **მე მინდა, მოგცეთ ლოცვა-კურთხევა, რომ ყოველდღე რაც შეიძლება, მეტი ფსალმუნები იკითხოთ საქართველოს კეთილდღეობისა და მშვიდობისათვის. ასევე იკითხეთ სახარებაც. სახარების კითხვაში დიდი ძალა და მადლია.**

წმიდა ნიკოლოზის ლოცვით ღმერთმა მოგვანიჭოს ჩვენ მადლი და ძალა ღვთისა! დალოცვილი და გახარებული გამყოფთ უფალმა თქვენ და სრულიად საქართველო!

**ჩვენთან არს ღმერთი!**

# ქრონიკა, ინფორმაცია

## ახალი ტაძარი იკურთხა

ნუცუბიძის ქ. №3 მდებარე ჩვილ ბავშვთა სახლში წმიდა მკურნალ პანტელეიმონის სახელობის სამლოცველო სახლი გაიხსნა. ტაძარი აკურთხა ზუგდიდ-ცაიშის ეპისკოპოსმა გერასიმემ (შარაშენიძე). ახალ ტაძარში წირვა-ლოცვას წმიდა კვირიკესა და წმიდა ივლიტას სახელობის ტაძრის წინამძღვარი, მღვდელი გიორგი ყიფშიძე აღასრულებს.

## მოწყალების საქმე

უკვე რამდენიმე თვის მანძილზე ბავშვთა სახლებში დადიან და მზრუნველობას მოკლებულ ბავშვებს დახმარებას უწევენ მღვდელი ლუკა სუპატაშვილი და მღვდელი გიორგი ყიფშიძე თავიანთი მრევლით.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის ილია II აზრით, ამგვარი მოწყალების საქმე ტრადიციად უნდა იქცეს. უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II სასულიერო პირებს მისცა ლოცვა-კურთხევა, რომ მოძღვრები მრევლის დახმარებით შეეწიონ მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა სახლებს.

## დაჯილდოება

18 დეკემბერს, ნიკოლოზობის დღესასწაულისადმი მიძღვნილ საზეიმო

გაგრძელება მე-6 გვ.

დასაწყისი მე-5 გვ.

ღვთისმსახურებაზე უწმიდესმა და უნეტარესმა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II დეკანოზის ხარისხში აიყვანა და ოქროს ჯვრით დააჯილდოვა ნარიყალას ტაძრის წინამძღვარი გიორგი თევდორაშვილი.

## ბერად აღკვეცა

12 დეკემბერს ნეკრესში, წმიდა აბიბოს ნეკრესელის ხსენების დღეს ბერად აღიკვეცა საპატრიარქოს მორჩილი ოთარ ქურციძე და სახელად ეწოდა აბიბოსი. ბერად აღკვეცაში მონაწილეობდნენ: ნეკრე-



სელი მიტროპოლიტი სერგი (ჩეკურიშვილი), ახალციხის, ტაო-კლარჯეთისა და ლაზეთის მთავარეპისკოპოსი თეოდორე (ჭუაძე), ხონის მთავარეპისკოპოსი საბა (გიგიბერია) და ზუგდიდისა და ცაიშის ეპისკოპოსი გერასიმე (შარაშენიძე).

18 დეკემბერს სავარის წმიდა საბა განწმენდილის სახელობის ტაძარში ამავე წმიდანის ხსენების დღეს ახალციხის, ტაო-კლარჯეთისა და ლაზეთის ეპისკოპოსმა თეოდორემ ბერი აბიბოსი აიყვანა დიაკვნის ხარისხში.

## „გელათის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალის" მორიგი ნომერი

გასული საუკუნის მიწურულს ქართული მეცნიერული წრეებში გახმაური სურვილი და მოთხოვნილება გელათის აკადემიის, როგორც მეცნიერული კვლევის ცენტრის, აღდგენისა, 1995 წლის 25 მაისს დაგვირგვინდა გელათის მეცნიერებათა აკადემიის დაარსებით.



დღიდან დაარსებისა ქუთაისსა და თბილისში იმართება გელათის აკადემიის სამეცნიერო სესიები. აკადემიამ დააარსა წმიდა მეფე დავით აღმაშენებლის სახელობის პრემია, გამოსცა „გელათის მეცნიერებათა აკადემიის უწყებანთა" პირველი და მეორე ტომები, 2002 წლის სექტემბრიდან კი ხელმომწერებსა და მკითხველებს ყოველთვიურად აწვდის „გელათის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალს".

ჩვენს წინაშეა ამ ჟურნალის 2003 წლის მე-9 ნომერი, რომელიც იხსნება ბატონ ალექსი ჭინჭარაულის გამოკვლევით „ვეფხისტყაოსნის" ლექსიკიდან („ნახეს" თუ „ჯნახე"? „მოვანება" თუ „მოფინება"?)". რასაც მოსდევს ჟურნალის რედაქტორისა და დამაარსებლის, ცნობილი ირანისტის, ბატონ მაგალი თოდუას სამეცნიერო სტატია „ვისო რამინისა" და „ვისრამიანის" ტექსტებისათვის".

ჟურნალში დაბეჭდილია აგრეთვე სხვა მეცნიერული ნაშრომები: ქალბატონ ანა ხარანაულის „ბიბლიის ქართული თარგმანების ლექსიკა და კვლევის მეთოდოლოგიური პრობლემები" და ქალბატონ ლია ქარისაძის „შემსმენელობითი ბრუნვის ფუნქცია და სახელწოდებისათვის ანტონის გრამატიკაში".

რუბრიკაში - „მეცნიერული ქრონიკა" ბატონი იულონ გაგოშიძე გვიამბობს თეირანში ჩატარებული (2003 წ. აგვისტო) ირანისა და დასავლეთ აზიას შორის ძველი კულტურული ურთიერთობებისადმი მიძღვნილი პირველი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის შესახებ, რომელშიც ასევე მონაწილეობდნენ ქართველი ხელოვნებათმცოდნეები ე. ახვლედიანი და კ. ხიმშიაშვილი.

„ბიბლიოგრაფია" გვაცნობს ახალ გამოცემებს: გერონტი ქიქოძის „პატარა ერის ხვედრი", „ლიტერატურული ძიებანის" პერიოდული დამატება **„kriteriumi. CRITERION", №8** და ნელი საგინაშვილის „ძველი ქართული მწერლობის მკვლევარნი და „ვეფხისტყაოსნის" საკითხები".

რუბრიკა „პერსონალია" აქვეყნებს დიდი ქართველი რუსთველოლოგის ვიქტორ ნოზაძის დაბადების 110 წლისთავისადმი მიძღვნილ ესსეს, ბატონ რევაზ სირაძის ავტორობით.

**„გელათის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალში" გამოქვეყნებული მასალების გაცნობა შესაძლებელია ინტერნეტის საშუალებით შემდეგ მისამართზე: http://www.nplg.gov.ge/ic/etc.htm.**

## სემინარები ქრისტიანული კვლევის საერთაშორისო ცენტრში

საპატრიარქოსთან არსებული ქრისტიანული კვლევის საერთაშორისო ცენტრი აწყობს სემინარების ციკლს „მედიცინის სულიერ-ზნეობრივი პრობლემები - ბიოეთიკა და ჩვენ".

სემინარებში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ როგორც პრაქტიკული და თეორიული მედიცინის მუშაკებს, ასევე ყველა დაინტერესებულ პირს - ფილოსოფოსებს, ბიოლოგებს, ანთროპოლოგებს, იურისტებს, სოციოლოგებს, ისტორიკოსებს, ლიტერატორებს, ახალგაზრდა მეცნიერებს, სტუდენტებს, ჟურნალისტებს და ა.შ.

სემინარები იმართება ყოველ სამშაბათს 16 საათზე.

გაგრძელება მე-7 გვ.

# ქრონიკა. ინფორმაცია

## ხელდასხმა

2003 წლის 6 აპრილს უწმიდესმა და უნეტარესმა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II სიონის საკათედრო ტაძარში დიაკვნად დაასხა ხელი ამავე ტაძრის სტიქაროსანს გოჩა წურწუმიას. ახლადნაკურთხ დიაკონს სახელად გიორგი ეწოდა.

* * *

6 აპრილს მისმა ყოვლადუსამღვდელოესობამ, ფოთისა და სენაკის ეპისკოპოსმა გრიგოლმა (ბერბიჭაშვილი) ქალაქ ფოთის წმიდა ნიკოლოზის სახელობის საკათედრო ტაძარში დიაკვნად დაასხა ხელი ამავე ტაძრის მედავითნეს გოჩა ხოშტარიას და წმიდა ამბროსი ხელაიას პატივსაცემად სახელად ამბროსი უწოდა.

* * *

7 აპრილს, ხარების დღესასწაულზე სენაკის წმიდა იოანე ნათლისმცემლის სახელობის საკათედრო ტაძარში მისმა ყოვლადუსამღვდელოესობამ, ფოთისა და სენაკის ეპისკოპოსმა გრიგოლმა დიაკვნად ხელი დაასხა ამავე ტაძრის მედავითნეს ვალერი რეკვავას და წმიდა ალექსი შუშანიას პატივსაცემად სახელად ალექსი უწოდა.

## ფილმების ჩვენება თბილისის სასულიერო სემინარია-აკადემიაში

9 აპრილს თბილისის სასულიერო სემინარია-აკადემიაში ჩატარდა ჩვენება ფილმებისა – „XX საუკუნის ქართველი წმიდანები“. წარმოდგენილი იყო ფილმები წმიდა ალექსი ბერის, წმიდა ამბროსი აღმსარებლისა და წმიდა გაბრიელ ეპისკოპოსის შესახებ.

## პრეზენტაცია საპატრიარქოში

2 აპრილს საქართველოს საპატრიარქოში საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაციის პრეზი-

დასასრული მე-4 გვ.